ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ხუთშაბათი, 6 თებერვალი 1997 №13 (378) · ფასი 40 თეთრი

## ახალი ვერსია







# ძოძუაშვილიც! ყიფიანიც! ხურცილავაც!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თავისი საშინაო საქმეები, მოგეხსენებათ, ერთობ გასაიდუმლოებული აქვს. ფედერაციის პრეზიდენტისა და გენმდივნის დაუკითხავად ძნელად თუ შეიტყობთ რაიმე ხეირიანს. საშეჯიბრო განყოფილებაა მხოლოდ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ოქმებს და ამა თუ იმ მოთამაშეზე ინფორმაციას რომ გამოიმეტებს, თორემ სხვაზე ნურც იოცნებებთ. არადა, ფეხბურთის ფედერაციას საკუთარი პრეს-ცენტრიც გააჩნია, მაგრამ სერიოზული და ოპერატიული ინფორმაციის მიღებას იქაც ტყუილად ეცდებით. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი გაზეთი გვაქვს, ასე რომ, ახალი ამბები ჯერ ჩვენ, მერე კი თქვენო, ამას წინათაც „აგვიხსნეს“. რა ხანია, ასეა ეს ყოველივე და ვერაფერს შევცვლით. ფედერაციის ბიუჯეტის, ხარჯთაღრიცხვის, ფიფადან და უეფადან მიღებული ფულადი დახმარების, ეროვნული ნაკრების მატჩების ტელეტრანსლაციით შემოსული თანხის შესახებ ინფორმაციის მიღება კი ფანტასტიკის სფერო უფროა. თუმცა, ამას ვინლა ჩივის: ამას წინათ ფედერაციის წესდება მოვიკითხეთ, რათა იქ შეტანილი ცვლილებები შეგვეტყო. რომელიო, იკითხავთ. მოგახსენებთ: ადრე ამ ორგანიზაციას ერთი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავდა. ეს მისია ალექსანდრე ჩივაძეს ჰქონდა დაკისრებული. მერე უცებ მეორე გამოჩნდა — ნოდარ ანდრიაძე. ეჭვი გაჩნდა, ბატონი საშა ხომ არ დაითხოვესო, მაგრამ, საბედნიეროდ, ხელმძღვანელობას თურმე ვიცე-პრეზიდენტის მეორე შტატიც შეუმატებია. ეს აღმასკომის ბოლო სხდომას დაუმტკიცებია. ჰოდა, წესდება მოვიკითხეთ. პრეს-ცენტრმა გენერალურ მდივანთან დავით კვინიკაძესთან მიგვაგზავნა, მაგრამ ბატონი დავითი ვერ მოვიძიეთ, რადგან ლოგინად ჩავარდნილა, სახლში წამლობს და უკვე ერთი თვეა, სამსახურში ვერ დადის. აბა, ავადმყოფს ხომ არ შევაწუხებდით. რაღა გვექნა, ისევ ფედერაციაში მოვიძიეთ, შეძლებისდაგვარად მივმართეთ ყველას და ბოლოს პრეზიდენტთან მიგვაგზავნეს: წესდება ერთადერთ ეგზემპლარად არსებობს და ისიც ახალკაცის სეიფშია ჩაკეტილიო. პრეზიდენტის შეწუხებაც დავაპირეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა — ნოდარ ახალკაცს „სარბიელის“ გაგონება არ სურს და როგორ მიგვიღებდა. მოკლედ, ერთმა ღმერთმა და მეორე ახალკაცმა უწყიან, რა წერია წესდებაში.

ზემოთ აღმასკომი ვახსენეთ. მოგეხსენებათ, წესით ასეა: ყველა მნიშვნელოვან და საჭირბოროტო გადაწყვეტილებას ფედერაციის აღმასკომი ამტკიცებს. ახლაც, ეროვნული გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი აღმასკომის სხდომამ უნდა დაამტკიცოს. ბუნებრივია, ქართველ გულშემატკივრებს აინტერესებთ მათი ვინაობა, ვინც ეროვნულ გუნდს ახალ ხელმძღვანელობას დაუნიშნავს. ისევ პრეს-ცენტრს მივაკითხეთ და აღმასკომის წევრთა ვინაობის და რაოდენობის დადგენა ვთხოვეთ. საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნოდარ კობერიძემ შეილები იფიცა, სია მე არა მაქვს, ზვიად დარასელთან მიბრძანდით, იგია აღმასკომის მდივანი და ყველაფერი ეცოდინებაო. დარასელს რომ მივაკითხეთ, ძალიან გაიკვირვა, ასეთ საკითხზე კვინიკაძესთან მიბრძანდითო. ჰოდა, ჩვენც სამი კვირა იქნება, რაც კობერიძე-დარასელ-კვინიკაძეს შორის მიმოვდივართ სულ ტყუილად. რადგან ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, იძულებულნი გავხდით, გაკითხვა-გამოკითხვით შეგვეტყო აღმასკომის წევრთა ვინაობა. რაოდენობა ზუსტად ვერ დავადგინეთ. ზოგმა 17, ზოგმა 25, ზოგმაც 27 დაგვისახელა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ესენი ერთმანეთს არც იცნობენ. მხოლოდ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შეიკრიბებიან, ისიც მაშინ, როცა ფედერაცია მათ თავშეყრას ინებებს. საერთოდ, გასარკვევია, გარდა რაიმის დამტკიცება-უარყოფისა, მათ სხვა რამ თუ ევალებათ. მოკლედ, მიდგომ-მოდგომით და მავანთა შეწუხებით ზოგიერთების ვინაობა დავადგინეთ. აღმასკომის წევრები ყოფილან ფედერაციის ხელმძღვანელები — პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე, ვიცე-პრეზიდენტები ალექსანდრე ჩივაძე და ნოდარ ანდრიაძე; საფეხბურთო კლუბების „დინამოს“ და „მერანის“ პრეზიდენტები მერაბ ჟორდანია და ნუგზარ ნავაძე. ისიც გავიგეთ, რომ ნავაძის გარდა კიდევ ორი პარლამენტარია აღმასკომის წევრი. დანამდვილებით არა, მაგრამ ამბობენ, ის ორი — ზუგდიდელი პრეზიდენტი ბეჟან გუნავა და მისი სამტრედიელი კოლეგა ტარიელ ჩაჩუა არიანო. ქუთაისელებს აღმასკომში ორი კაცი ჰყოლიათ: დავით ფრუიძე და გურამ ფილიპაშვილი. აღმასკომის წევრია აგრეთვე თერჯოლელი გენერალი გურამ ქარქაშაძე, რომლის გენერლად კურთხევა სხვებთან ერთად გაზეთმა „ქართულმა ფეხბურთმაც“ იზეიმა. ჯერჯერობით 11 გამოვიდა. იმედია, დანარჩენების ვინაობასაც შევიტყობთ და მერე მკითხველსაც ვაცნობებთ, ჯერ კი მოცდა მოგვიწევს. იმედია, დიდხანს არა, თუ, რა თქმა უნდა, აღმასკომი სადმე კონსპირაციულად არ შეიკრიბა და ფედერაციის მიერ წინასწარ მიღებული გადაწყვეტილებები არ დაამტკიცა.

ზემოთ ვთქვით, ფეხბურთის ფედერაციაში ინფორმაციის მოპოვება ერთობ რთული საქმე რომაა, მაგრამ ხანდახან ჩვენც გაგვიღიმებს ხოლმე ბედი, ცხადია, დიდი გარჯის შედეგად. ჰოდა, ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი გავიგეთ, რომელიც ეროვნული გუნდის ხელმძღვანელის, უფრო სწორად, ხელმძღვანელების ვინაობას ეხება: სავსებით შესაძლოა, გუნდს უხელმძღვანელოს მწვრთნელთა ტრიუმვირატმა რევაზ ძოძუაშვილის, დავით ყიფიანისა და მურთაზ ხურცილავას შემადგენლობით. პირობითად, მწვრთნელთა შორის თანამდებობებიც სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი თანამიმდევრობით განაწილდება — რევაზ ძოძუაშვილი მთავარი მწვრთნელის ფუნქციას შეასრულებს, დავით ყიფიანი — გუნდის უფროსის, მურთაზ ხურცილავა კი, ალბათ, მეორე მწვრთნელი იქნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, დღეისთვის კი ამ არაოფიციალურ, მაგრამ, როგორც ვთქვით, სანდო წყაროსგან მიღებულ ცნობას დავყაბულდეთ. მით უმეტეს, რომ დავით ყიფიანმა გუშინ ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას ასეთი რამ განაცხადა: „ნაკრების მწვრთნელობაზე ჩემს უწინდელ აზრზე კი ვარ, მაგრამ მოვლენები ისეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება, რომ...“

ახალკაცი, ძოძუაშვილთან გუშინწინდელი შეხვედრის შემდეგ, გუშინ ყიფიანსაც შეხვდა, დღეს კი ხურცილავასთან აქვს სასაუბრო, თუ, რაღა თქმა უნდა, „ოდიშის“ მწვრთნელს დიდთოვლობამ არ შეუშალა ხელი და თბილისს ჩამოაღწია.

ხვალ კი მწვრთნელთა ტრიო ერთმანეთში აპირებს „საქმის გარჩევას“ და ჩვენც შევეცდებით, დაწვრილებით გაუწყოთ ამ შეხვედრათა შინაარსი.

## 9:2! ყველაფერი ნათელია!

**წუხელ**

პალერმო, 5 თებერვალი

**იუვენტუსი 3:1 სენ ჟერმენი**

**იუვენტუსი:** პერუცი, ფერარა, ტორიჩელი (პორინი 72), მონტერო, პესოტო, დი ლივიო, ზიდანი, ტაკინარდი (ლომბარდო 67), იუგოვიჩი, პადოვანო (ვიერი 67), დელპიერო

**პსჟ:** ლამა, ალჟერინო, დომი, ლებენი, კენედი, გერენი (ლერუა 77), ჟუ-ლეონარდო (ალუ 79), რაი, ლოკო, დელი ვალდეხი

**გოლი:** დელ პიერო (36, 70), რაი (64 პ), ვიერი (90)

შთაბეჭდილება პირველი: ტურინელებმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს, შეხვედრა თავიანთი ქალაქიდან სიცილიაზე რომ გადაიტანეს. პალერმოს „ლა ფავორიტა“ გაივსო.

შთაბეჭდილება მეორე: პარიზელთა პრესინგის და თავგამოდების მიუხედავად კლასმა თავისი გაიტანა.

ფაქტი: „იუვენტუსმა“ ევროპის და მსოფლიოს ყველა მთავარი ჯილდო მოიპოვა!



წუხელ პალერმოში: ტურინელები მესამე გოლით ხარობენ

## „სიტი“ მერვედფინალშია

წუხელვე „მანჩესტერ სიტი“ ინგლისის თასის მერვედფინალში გავიდა. არადა, ეს ეტაპი მიუღწეველი გამოდგა პრემიერლიგის ბობოლათათვის: „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“, „ნიუკასლი“ და „არსენალი“ უკვე გავარდნენ. „სიტიმ“ კი გუშინ „უოტფორდი“ 3:1 დაამარცხა ჰილის, სამერბის (გიოს პასით), როსლერის გოლებით და ახლა 15 თებერვალს „მიდლსბროს“ უმასპინძლებს.

## 12 თებერვალს შემბლიზე

12 თებერვალს მთელი საფეხბურთო ევროპის ყურადღება ლონდონისკენ იქნება მიპყრობილი. მანამდე კი...

მეტოქეები დიდი მატჩისთვის ემზადებიან. იტალიელთა ახალმა თავკაცმა ჩეზარე მალდინიმ დაახლოებით ერთი თვის წინ თავისიანები ინგლისელთა მსგავსად მობურთალ ჩრდილოირლანდიელებს შეარკინა და 2:0 გაიმარჯვა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ ირლანდია ინგლისი არ არის.

ბოლო ხანს ინგლისელებს ზედიზედ გამოაკლდნენ შერინგემი, პლატი, ნევილი და ჰინჩკლიფი. თითქოს გაზასაც ვერ უნდა ეთამაშა, მაგრამ ჰოდლმა გესქოინი მაინც გამოიძახა. გაზა ერთი კვირის წინ კი დაშავდა, მაგრამ მას შემდეგ საკმაოდ ბევრი რამ შეიცვალა. მისი „გლაზგო რეინჯერსის“ მწვრთნელი უოლტერ სმიტი ამას წინათ ტელევიზიით გამოვიდა და გესქოინზე ვრცლად ისაუბრა. მოჰყვა, როგორ დაშავდა გაზა, როგორ გააქანეს საავადმყოფოში, როგორ უწამლეს, ბოლოს კი ეს დასძინა: „გაზამ უკვე მოიხსნა თაბაშირი, კოჭიც ისე აღარა აქვს გამობერილი, როგორც ერთი კვირის წინ. მატჩამდე ტრავმა მოშუშდება და ჰოლიც თამაშისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. თუ ჰოდლმა მისი თამაში ინება, მაშინ დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში.“

ინგლისელთა შემადგენლობა კარგა ხანია გამოცხადდა და ამაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, ჩეზარე მალდინიმ კი „სკუადრა აძურაში“ ჩრდილოირლანდიელებთან მატჩის შემდეგ რამდენიმე ცვლილება მოახდინა.

ერთი თვის წინ, როცა პალერმოში აპენინელებმა 2:0 იმარჯვეს, არ უთამაშია გასული წლის იტალიის უძვირფასეს ფეხბურთელს პარმელ ენრიკო კიეზას. იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „პარმამ“ კიეზას გადამწყვეტი გოლის წყალობით დაამარცხა „ვიჩენცა“. შესაძლოა, სწორედ ფორვარდის იმდღევანდელმა თამაშმა გადააწყვეტინა უფროს მალდინის მისი ნაკრებში გამოძახება. კიეზა რომ კარგი თავდამსხმელია, ამას გასულ წელს მისი იტალიის საუკეთესო ბომბარდირობაც მოწმობს.

მალდინის გუნდის მეორე ახალწვეული მცველი კრისტიან პანუჩია. მანაც, კიეზას მსგავსად, ბოლო ტურში გოლი გაიტანა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისმა „რეალმა“ 3:2 დაამარცხა „დეპორტივო“ და მადრიდელთა პირველი გოლი სწორედ მან გაიტანა.

ინგლისელების მსგავსად, ვერც იტალიელები გადაურჩნენ ტრავმებს. სწორედ ამ მიზეზით გამოაკლდა „სკუადრა აძურას“ „მილანის“ ნახევარმცველი სტეფანო ერანიო.

იტალიელთა გუნდში კვლავ არ უხმეს ჯანლუკა ვიალის. ეტყობა, საკის მსგავსად მას არც მალდინი სწყალობს მაინცდამაინც. მეორე იტალიელმა, რობერტო მანჩინიმ კი, ვინაც ახლა „სამპდორიაში“ ჩინებულად თამაშობს, განაცხადა, მართალია, ნაკრებში არ დამიძახეს, მაგრამ მაინც წავალ ინგლისში და „უემბლიზე“ ჩვენს ნაკრებს ვუქომაგებ, არც იმას დავეძებ, მომცემს თუ არა „სამპდორია“ წასვლის უფლებასო.

რამდენიმე დღის წინ მალდინიმ დაასახელა ის 22 კაცი, ვინც საინგლისოდ მოემზადება, თუმცა ერანიოს ამოვარდნის გამო ეს სია 21-მდე შემცირდა: მეკარეები — პერუცი (იუვენტუსი) და ტოლდო (ფიორენტინა); მცველები — კოსტაკურტა, მალდინი (ორივე მილანი), ფერარა (იუვენტუსი), ფრეზი (ინტერი), კანავარო, ბენარივო (ორივე პარმა), ნესტა (ლაციო), პანუჩი (რეალი); ნახევარმცველები — დი ლივიო (იუვენტუსი), ალბერტინი (მილანი), დინო ბაჯო (პარმა), ფუზერი (ლაციო), დი მატეო (ჩელსი), კარბონი (შეფილდ უენსდეი); თავდამსხმელები — რავანელი (მიდლსბრო), ძოლა (ჩელსი), კაზირაგი (ლაციო), კიეზა (პარმა), დელ პიერო (იუვენტუსი).

# კუდინოვმაც ზღვაში შესცურა

[illegible]



# კახა გოგიჩაიშვილი: დროა მომავალზეც ვიფიქრო



[illegible]

# ოდიშს ორი პრეზიდენტი ეყოლება

[illegible]

# თურქმენეთამდე ესენგეს ნაკრებში

[illegible]

# ჯოშკარიანი „კამაზს" დაეხმარა

[illegible]

# გელა შანშულიძე ისრაელში წასვლას აპირებს

[illegible]

**არგენტინელი** კარლოს ბილარდო, ვინაც ამ ქვეყნის ნაკრები 1986 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, შესაძლოა „სევილიას“ მწვრთნელად დაინიშნოს ხოსე ანტონიო კამაჩოს ნაცვლად. „სევილია“ ესპანეთის ჩემპიონატში ბოლოდან მესამე ადგილზეა. ბილარდო 1992-93 წლებში უკვე თავკაცობდა „სევილიას“.

**შოტლანდიაში შედგა თასის გათამაშების შემდეგი წრის კენჭისყრა. კლუბები ასე დაწყვილდნენ: ბრეჩინი — რეით როვერსი, კლაიდი — კილმარნოკი, ფალკირკი — დანფერმლაინი, გრინკოკ მორტონი — დანდი, მოზერველი — ჰამილტონი, გლაზგო რეინჯერსი — ისტ ფაიფი. ეს შეხვედრები შაბათს, 15 თებერვალს გაიმართება, კვირას და ორშაბათს კი შესაბამისად ჰართსი —, დანდი იუნაიტედი და ჰიბერნიანი — სელტიკი იასპარეზებენ.**

**საბერძნეთის** „ოლიმპიაკოსმა“ კვიპროსული „ანორთოსისიდან“ 750 ათას დოლარად შეისყიდა კვიპროსის ნაკრების წევრი, ეროვნებით სერბი სინიშა გოგიჩი. ფეხბურთელმა ბერძნულ კლუბთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი 14 გოლით კვიპროსის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია, 1990 და 1994 წლებში კი ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს. გოგიჩი მეორე კვიპროსელია, ვინაც ამ კვირაში საბერძნეთში გადავიდა. რამდენიმე დღის წინ ნიქოზიის „ომონიიდან“ „პანათინაიკოსში“ 350 ათას დოლარად გადაბარგდა 25 წლის კოსტას მალეკოსი.

**ესპანეთის დედაქალაქში გარდაიცვალა რაიმუნდო საპორტა, კაცი, რომელმაც „რეალში“ ალფრედო დი სტეფანო მიიყვანა. იგი 50-იან წლებში კლუბის ადმინისტრატორად მუშაობდა, იყო 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ბოლო წლებში კი ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. „ბერნაბეუს შემდეგ „რეალისთვის“ საპორტა უპირველესი კაცი იყო“ — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა.**

**მალაიზიაში** ივნისში გაიმართება 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი, მანამდე კი შესარჩევი ტურნირები ტარდება. სამხრეთ ამერიკის ამ ასაკის ფეხბურთელთა პირველობას, რომელიც შესარჩევ ტურნირად განიხილება, არგენტინა ლიდერობს. არგენტინელებმა ბოლო შეხვედრაში 2:0 დაამარცხეს ბრაზილიელები და სამი მატჩიდან შვიდი ქულა აქვთ. მეორე ადგილზეა ბრაზილია — ექვსი ქულა სამი შეხვედრიდან. სამხრეთ ამერიკიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი საუკეთესო ნაკრები გაემგზავრება.

**გერმანიის ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიის“ ფორვარდი კარლ-ჰაინც რიდლე შესაძლოა იტალიაში გადავიდეს. ტრავმის გამო მას საკმაო ხანი გაუცდა, გამოჯანმრთელების შემდეგაც ძირითადში იშვიათად ხვდებოდა. რიდლეთი დაინტერესდა მილანის „ინტერი“. ფეხბურთელს „ბორუსიასთან“ 1998 წლამდე აქვს კონტრაქტი, თუმცა იმედოვნებს, რომ თუ კლუბი მის გაშვებაზე თანახმა იქნება, იტალიური მხრიდან პრობლემა არ იქნება.**

**ბრაზილიელმა** ემერსონმა, ვინც პრემიერლიგის „მიდლსბროში“ გამოდის, ინგლისში ასპარეზობის მანძილზე მეორე დისკვალიფიკაცია მიიღო. ნოემბერში იგი სამი მატჩის გამოტოვებით დასაჯეს, ახლა კი ყვითელი ბარათი მიიღო მსაჯთან შეკამათებისთვის, 33 საჯარიმო ქულა დააგროვა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აიკიდა. ემერსონს, შესაძლოა, თასის გათამაშების მეხუთე წრის შეხვედრის გამოტოვება მოუხდეს.

**იტალიის „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ უკმაყოფილოა კლუბის შედეგებით და ამაში მწვრთნელს — ინგლისელ როი ჰოჯსონს დასდო ბრალი. მისი თქმით, რომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, თუკი კლუბში დარჩენა უნდა. სერია A-ში „ინტერი“ მეხუთე ადგილზეა და შვიდი ქულით ჩამორჩება ლიდერ „იუვენტუსს“. ჰოჯსონს კონტრაქტი იტალიურ კლუბთან 1994 წლამდე აქვს, მაგრამ არაა გამორიცხული, „ინტერი“ ვადამდე ადრე დატოვოს. ნოემბრიდან მოყოლებული კლუბმა 33 შესაძლებლიდან მხოლოდ 13 ქულა მოიპოვა.**

**ბრაზილიელ** ფორვარდ დონიზეტის „ბენფიკასთან“ გართულებულმა ურთიერთობამ სამშობლოში დაბრუნება გადააწყვეტინა. მისი მომავალი კლუბი „კორინთიანსი“ იქნება. ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად არაფერია ცნობილი, თუმცა, ლისაბონის გაზეთების განცხადებით, ბრაზილიელებს თავისიანის შესყიდვა დაახლოებით 3 მილიონი დოლარი დაუჯდათ. თვითონ ფეხბურთელი კლუბიდან წასვლის მიზეზად ოჯახის მონატრებას ასახელებს.

**ესპანეთის თასის გათამაშების მეოთხე წრის განმეორებითი შეხვედრებიდან ერთ-ერთი სამშაბათს გაიმართა „კომპოსტელამ“ შინ წააგო თასის მარშანდელ მფლობელთან, დედაქალაქის „ატლეტიკოსთან“ 2:3. ორი შეხვედრის ჯამში (5:2) შემდეგ წრეში მადრიდელები გავიდნენ. მერვედფინალის ცენტრალური შეხვედრა დღეს გაიმართება: მადრიდის „რეალი“ თავის დაუძინებელ მტერ „ბარსელონას“ შეერკინება. პირველი შეხვედრა სტუმრად „რეალმა“ 2:3 დათმო.**

**ბელგიაში**, თასის გათამაშების მერვედფინალის დარჩენილ შეხვედრაში რეზო არველაძის „მეხელენმა“ შინ 1:1 ითამაშა „ტილენთან“, პენალტების სერიაში 4:5 დამარცხდა და ბრძოლას გამოეთიშა. მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: სტანდარდი — ეკერენი, გენტი — ანდერლეხტი, ტილენი — ლიერსი, დენდერლოუ — აალსტი.

**თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბეშიქთაშთან“ 0:3 მარცხის გამო გადააყენეს „ტრაბზონსფორის“ მწვრთნელი შენოლ გიუნეში. ოთხშაბათს კლუბის ახალ მწვრთნელად დაინიშნა ილმაზ ვურალი. „ტრაბზონსფორამდე“ იგი სტამბოლის „სარიესს“ წვრთნიდა. ვურალმა ახალ კლუბთან წლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ტრაბზონსფორი“ თურქეთის ჩემპიონატში“ მეოთხე ადგილზეა, მას „გალათასარაი“, „ფენერბაჰჩე“ და „ბეშიქთაში“ უსწრებენ. თურქეთის ჩემპიონატების ისტორიაში ამ ოთხი გუნდის გარდა ჯერჯერობით არავის გაუმარჯვია.**

**არგენტინის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ ბრძანა, რომ ფიფას მომავალ პრეზიდენტად უეფას ამჟამინდელი პრეზიდენტი, შვედი ლენარტ იუჰანსონი ესახება. მანვე განაცხადა, რომ ფიფას თავკაცობის ყველაზე რეალური კანდიდატები ევროპას და აფრიკას ჰყავთ, მაგრამ ავლანჟის გრძელვადიანი მმართველობის გათვალისწინებით, ფიფას მომავალი პრეზიდენტი ევროპიდან უნდა იყოს.

**ბელგიის ჩემპიონ „ბრიუგეს“ მომავალი სეზონიდან ყოფილი ფეხბურთელი ერიკ გერეტსი უხელმძღვანელებს. „ბრიუგეს“ მწვრთნელმა ჰუგო ბროსმა, ვინაც კლუბთან ექვსი წელი იმუშავა, განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს გუნდიდან წავა და, შესაძლოა, „ლიერსს“ ჩაუდგეს სათავეში. ერიკ გერეტსმა, „სტანდარდის“, „მილანის“ და „ეინდჰოვენის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, ამჟამად „ლიერსის“ თავკაცმა, „ბრიუგესთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

**ჩრდილოირლანდიის** ნაკრების მეკარე შეი გივენი ვერ მიიღებს მონაწილეობას უელსთან ამხანაგურ მატჩში, რომელიც კარდიფში 11 თებერვალს ჩატარდება. „ბლექბერნის“ მეორე მეკარე ბოლო დღეებში მუცლის საშინელმა ტკივილებმა შეაწუხა. თან გივენს „ბლექბერნის“ დატოვება განუზრახავს. მან ადგილი დაჰკარგა, ვინაიდან ფლაუერსი მასზე გაცილებით კარგად თამაშობს. კლუბის მიერ ორნახევარ მილიონ გირვანქად შეფასებული გივენით „ნიუკასლი“ და „სანდერლენდი“ დაინტერესდნენ. ჩრდილოირლანდიელთა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ ნაკრებში „ბოლტონის“ მეკარე კიტ ბრენეგენი გამოიძახა.

**ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბმა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ მოთამაშე მწვრთნელობა შესთავაზა ნაკრების ყოფილ წევრს კრის უოდლს. კლუბის თავმჯდომარე ტონი ჰელი შეხვდა 36 წლის უოდლს და „ვესტ ბრომვიჩში“ მის მომავალზე ესაუბრა. ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ ჰელიმ განაცხადა, რომ უოდლი ვერ დაიყაბულა. უოდლამდე „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელობაზე უარი თქვეს ბრიუს რიოქმა და ჯონ ტოშაკმა. ტონი ჰელიმ ახლა „ევერტონის“ მეკარე ნევილ საუთჰოლს და „ლიდსის“ ფორვარდს იან რაშს მიაკითხა, მაგრამ რა პასუხი მიიღო, უცნობია. „ვესტ ბრომვიჩის“ აწ უკვე მწვრთნელი ალან ბაკლი არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლეს.**

**პოლონელ** ფორვარდს მარეკ ციტკოს ინგლისში გადასვლის თაობაზე მეორედ მიმართა „ბლექბერნმა“. შირერის გაყიდვის შემდეგ ინგლისური კლუბის შედეგიანობამ იკლო და შირერის შემცვლელად სწორედ ციტკოს მიიჩნევენ. ოქტომბერში, „უემბლიზე“ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ციტკომ ინგლისს გოლი გაუტანა, თუმცა პოლონელები მარცხისგან მაინც ვერ იხსნა. ციტკოს ახლანდელმა კლუბმა ლოძის „ვიძევმა“ თებერვალში ექვსმილიონნახევარი დოლარი მოიხოვა.

## ფეხბურთის რუკასთან



**შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა დაასახელა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 11 თებერვალს მონაკოში ტალინში ოქტომბერში ჩაუტარებელ შეხვედრას გადაითამაშებს ესტონეთთან. 1994 წლის შემდეგ ნაკრებში პირველად გამოიძახეს დანკან ფერგიუსონი. გუნდი ასეთი შემადგენლობით ემზადება: ტომი ბოიდი, ტომ მაკკინლი, ბილ მაკნამარა, პოლ მაკსტეი (ყველა სელტიკი), იან ფერგიუსონი, ენდი გორამი, ალი მაკკოისტი, ალენ მაკლარენი (ყველა რეინჯერსი), სკოტ ჰოული (მოზერველი), დარენ ჯეკსონი, ჯიმ ლეიტონი (ორივე ჰიბერნიანი), ნილ სალივანი, ბრაიან მაკალისტერი (ორივე უიმბლდონი), კევინ გალაჰერი, კოლინ ჰენდრი (ორივე ბლექბერნი), ეონ ჯესი, გარი მაკალისტერი (ორივე ქოვენთრი), ჯონ სპენსერი (ქუინზ პარკი), ჯონ მაკგინლი (ბოლტონი), პოლ ლამბერტი (დორტმუნდი), სტოკ ჯემილი (ნოტინგემი), კრეიგ ბარლი (ჩელსი), კოლინ კალდერვუდი (ტოტენჰემი), ჯონ კოლინზი (მონაკო) და დანკან ფერგიუსონი (ევერტონი).**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ ათასობით წერილი მიიღო „მიდლსბროს“ გულშემატკივრებისგან. ფანები „ბლექბერნთან“ 21 დეკემბრის მატჩის გადათამაშებას მოითხოვენ. გულშემატკივრების აზრით, მათმა საყვარელმა კლუბმა უსამართლოდ დაკარგა სამი ქულა, რაც მათ მდგომარეობაში მყოფი გუნდისთვის მეტად საჭირო იყო. ფეხბურთის ასოციაციაში ამ საკითხის გამო გაიმართა სხდომა, თუმცა მისმა საბოლოო შედეგმა „მიდლსბროს“ გულშემატკივრები ვერ გაახარა.

**ჩეხეთის ნაკრების ყოფილი წევრის ტომაშ სკუხრავის კარიერას, შესაძლოა, წერტილი დაესვას. 31 წლის ფეხბურთელმა, რომელიც შარშან არასახარბიელო თამაშის გამო ლისაბონის „სპორტინგიდან“ ქიქოვის „ვიქტორიაში“ გადავიდა, ვარჯიშის განახლება სცადა, მაგრამ ექიმებმა ეს არ ურჩიეს. მათი თქმით, დაზიანებული მუხლის გამო სკუხრავის კარგა ხანს მოუწევს დასვენება. თუ ტომაშ ვარჯიშს განაახლებს, შესაძლოა, დაკოჭლდეს — განაცხადა „ვიქტორიის“ ექიმმა პეტრ ნემეცმა. სკუხრავიმ ნაკრებში ჩატარებულ 47 მატჩში 17 გოლი გაიტანა, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მერვედფინალში კი კოსტა-რიკას სამი გოლი შეუგდო. ამ ჩემპიონატის დამთავრებისთანავე იგი „ჯენოაში“ გადავიდა, სადაც 5 სეზონში 58 გოლი მიითვალა.**

**იტალიის** „მილანმა“ განაცხადა, რომ დაინტერესებულია მიუნხენის „ბაიერნისა“ და ნაკრების მეკარე ოლივერ კანით. იტალიელთა თქმით, „მილანის“ მეკარე სებასტიანო როსიმ აშკარად უკლო თამაშს და მისი ღირსეული შემცვლელი სწორედ კანია. გერმანული პრესის ცნობით, იტალიელებმა უკვე მიმართეს „ბაიერნს“ და მიაღწიეს სიტყვიერ შეთანხმებას.

**ბრაზილიელი ფორვარდი ჯოვანი ელბერი „შტუტგარტიდან“ მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა. გერმანიის ყველაზე სახელიან კლუბს ელბერის შეძენა ხუთი მილიონი მარკა დაუჯდა. „ბაიერნში“ გადასვლამდე ბრაზილიელს თამაში შესთავაზა „დეპორტივოს“ მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა, თუმცა უარი მიიღო.**

**საფრანგეთის** ვარსკვლავი დავიდ ჟინოლა, რომელიც ახლა „ნიუკასლში“ გამოდის, შესაძლოა, უახლოეს მომავალში მშობლიურ „პარი სენ ჟერმენს“ დაუბრუნდეს. ბოლო თვეებში ინგლისურ კლუბში მას არც ხშირად ათამაშებენ, რამაც, რა თქმა უნდა, ჟინოლა გაანაწყენა და. საფრანგეთში დაბრუნება გადააწყვეტინა. „როცა პსჟ-ს თამაშს ვუყურებ, გული მწყდება, რომ კლუბში არ ვარ. არასდროს დამავიწყდება იქ გატარებული მშვენიერი დრო“ — თქვა ჟინოლამ.

**საფრანგეთის ნაკრების წევრს და „პარი სენ ჟერმენის“ მცველს ალენ რომს სეზონის დასრულება არ დასცალდა — 24 წლის ფეხბურთელმა ბოლო მატჩში მუხლი დაიზიანა და, ექიმების დასკვნით, ხუთი-ექვსი თვე დასვენება მოუწევს. ეს შაბათს მოხდა, როდესაც „სენ ჟერმენი“ შინ 1:1 ეთამაშა „კანს“. არადა, ფეხბურთელს, ძველი ტრავმა ახალმოშუშებული ჰქონდა.**

**იტალიის** ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ მცველმა კრისტიან პანუჩიმ ერთ-ერთ ბოლო სატელევიზიო გადაცემაში გააკრიტიკა არიგო საკი. პანუჩი „მილანის“ პირველი ფეხბურთელია, ვინაც გუნდი საკის მოსვლის შემდეგ დატოვა: „საკი ბევრს საუბრობს, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოაქვს. „მილანმა“ რვა მილიონად გამყიდა. სისულელეა იმის თქმა, რომ კლუბს ფული შემოაკლდა, უბრალოდ, საკის გასაგდებთა სიაში პირველი ნომერი ვიყავი. ვნახე „მილანის“ მატჩი „სამპდორიასთან“. გუნდი გუნდს არ ჰგავდა, ისე იყო ფსიქოლოგიურად დათრგუნული. თუ ასე გაგრძელდა, „მილანი“ ლიგიდან გავარდება, დამნაშავე კი, რა თქმა უნდა, საკი იქნება“ — განაცხადა პანუჩიმ. 1981-82 წლების შემდეგ „მილანი“ პირველად დაეშვა მე-12 ადგილზე. მაშინ „მილანი“ გავარდა. საინტერესოა, რა მოხდება ახლა.

**ავსტრალიის ნაკრების ინგლისელი მწვრთნელის ტერი ვენებლზის თქმით, ნაკრების თამაში ხორვატებთან ევროპელების მიზეზით ჩაიშალა. სამაგიეროდ, ვენებლზმა ორი თამაში დანიშნა — 12 მარტს მაკედონიაში და 2 აპრილს უნგრეთში. მან განაცხადა, რომ შესაძლოა თებერვლის ბოლოს ერთკვირიანი შეკრება მოაწყოს ინგლისში ან ჰოლანდიაში. მისი ხელმძღვანელობით ავსტრალიამ ოთხთა ტურნირი მოიგო — ზედიზედ დაამარცხა ნორვეგია, სამხრეთ კორეა და ახალი ზელანდია. სატელევიზიო გამოსვლაში ვენებლზმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილი აქვს გუნდის 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა. ვენებლზმა თქვა, რომ ევროპაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში 70-მდე ავსტრალიელი ფეხბურთელი თამაშობს, რომელთაგან დააკომპლექტებს ნაკრებს**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა „იფსვიჩის“ მოთამაშე ადამ ტანერს. 23 წლის ფეხბურთელს დეკემბერში სისხლის ანალიზი აუღეს, რამაც დაადასტურა, რომ ტანერს ნარკოტიკი ჰქონდა მიღებული. სადისციპლინო კომიტეტმა [illegible] უმალ გამოუტანა მას სასჯელი. ფეხბურთიდან ოთხთვიანი მოკვეთა მიუსაჯეს „ჩარლტონის“ 18 წლის ნახევარმცველს ჯეი ნოტლის. ესეც კოკაინის მიღებაში ამხილეს.

**გერმანიაში, ქვეყნის ტელევიზიის არსებობის მანძილზე პირდაპირ ეთერში პირველად გადასცემენ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს, რომელშიც არ ითამაშებს გერმანია. ეს პატივი ერგო ინგლისი — იტალიის 12 თებერვლის შეხვედრას.**

**საფრანგეთის** თასის გათამაშების მეოთხე წრეში გამოეთიშნენ „მარსელი“ და „მეცი“. პირველი შინ „ლილს“ ვერ გაუმკლავდა — 0:1, „მეცმა“ კი „მონპელიესთან“ შინ 3:3 თამაშის შემდეგ პენალტების სერია დათმო — 1:3.

**ალბანეთის ჩემპიონატის აუტსაიდერი „ლუშნიას“ არგენტინელმა მწვრთნელმა მარიო კემპესმა დახმარებისთვის მიმართა დიეგო მარადონას და დანიელ პასარელას. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა და საუკეთესო ბომბარდირმა თანამემამულეებს ფინანსური მხარდაჭერა სთხოვა. კემპესმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ლუშნიასთან“ და ამ ხნის განმავლობაში 350 ათას დოლარს მიიღებს. „ლუშნია“ ალბანეთის პირველი კლუბია, რომლის მწვრთნელადაც უცხოელი დაინიშნა.**

**ინგლისის** ჩემპიონატის აუტსაიდერმა „მიდლსბრომ“ კიდევ ერთი ლეგიონერი ჩარიცხა კლუბში. ამჯერად ბრაზილიელი ემერსონის ნათესავი ფაბიო, თანაც ისე, რომ კაპიკიც არ დაუხარჯავს. ფაბიო სეზონისწინა შეკრებაზე უკვე ვარჯიშობდა „მიდლსბროსთან“ და გუნდის მწვრთნელი ბრაიან რობსონი მას კლუბის მეორე გუნდში ათამაშებდა. ფეხბურთელს პორტუგალიური პასპორტი აქვს, ამიტომ მას არ დასჭირდა ინგლისის ხელისუფლების ნებართვა ქვეყანაში თამაშისთვის.

**ბრაზილიელ** რომარიოს განათლების მიღება სურს. მას ფიზკულტურის მასწავლებლობა განუზრახავს და რიო დე ჟანეიროს კასტელო ბრანკოს უნივერსიტეტში აბარებს გამოცდებს. ცხრა წლის წინ მას თავის განზრახვაზე უარის თქმა მოუხდა, რადგან კონტრაქტით ჰოლანდიურ „ეინდჰოვენთან“ იყო დაკავშირებული. ბრაზილიური პრესის ცნობით, უნივერსიტეტში ჩასარიცხად 73 აბიტურიენტი იბრძვის, მათ შორის რომარიოც, რომელსაც 113 მისაღებ კაცში მოხვედრა გარანტირებული აქვს. სურათზე რომარიო სწორედ ერთ-ერთი გამოცდის დროსაა აღბეჭდილი.



## ინგლისი

### ასოციაციის თასი

მეოთხე ეტაპი. განმეორებითი მატჩი

**უიმბლდონი 1:0 მანჩესტერი**

**უიმბლდონი:** ხალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდხენი (მაკალისტერი 87), ერლი, ეკოკუ, ჰოლდსუორსი (ჰარფორდი 89), გეილი (გუდმენი 85), პერი
**მანჩესტერ იუნაიტედი:** შმაიხელი, ნევილი, ირვინი (მაკლეირი 81), პალისტერი, კანტონა, კოული, ბექემი, გიგზი, პობორსკი (სოლსკიაერი 70), კინი, იონსენი
**გოლი:** გეილი (63)

მართალია შეხვედრა ლონდონში გაიმართა, „სელჰარსტ პარკზე" მისული 25 601 გულშემატკივრიდან უმეტესობა სტუმრებს უჭერდა მხარს. გახარებით კი უმცირესობამ გაიხარა. მარკუს გეილის მიერ 63-ე წუთზე გატანილმა გოლმა „უიმბლდონი" თასის მეხუთე ეტაპზე გაიყვანა, სადაც 15 თებერვალს „ქუინზ პარკს" უმასპინძლებს. ასე შორს ინგლისის დედაქალაქის ეს გუნდი 1988 წლის შემდეგ არ გასულა, მაშინ 88-ში კი თასს ფლობდა — ფინალში „ლივერპულს" მოუგო.

„უიმბლდონის" და „იუნაიტედის" სათასო დავა ორმატჩიანი გამოვიდა, რადგან თერთმეტი დღის წინ „ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერელებმა ვერ მოიგეს (1:1). შემდეგ მეტოქეები პრემიერლიგის მატჩშიც შეხვდნენ ერთმანეთს („მანჩესტერმა" მოიგო) და ახლა, მოკლე დროში, მესამედ გაარკვიეს ურთიერთობა. მწვრთნელებს ხშირად უთქვამთ, თასი კარგია, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ჩემპიონატიაო. „იუნაიტედის" ძლევისა და მეხუთე ეტაპზე გასვლის შემდეგ ლონდონელთა მწვრთნელის ჯო კინიარის გამომეტყველება ამ მოსაზრებიდან განსხვავებულს გამოხატავდა.

წაგება „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" პირველი იყო 1995 წლის მერე, როდესაც ფინალში „ევერტონთან" დამარცხდა. აქამდე თექვსმეტჯერ ერიკ კანტონა თავაწეული ტოვებდა სათასო ბრძოლების სარბიელს. ამაჯ გუნდს ფინალში ზედიზედ მეოთხედ გასვლის და ჯილდოს მესამედ მოგების გზა გადაეხერგა.

„უიმბლდონმა" 4-3-2-1 განლაგება არჩია. სულ წინ ეფან ეკოკუ ჰყავდათ წაწეული, ზურგს კი გეილისა და ჰოლდსუორსის დუეტი უმაგრებდა. ასეთმა წყობამ ლამის მყისიერი წარმატება მოიტანა: მესამე წუთზე ეკოკუ მოედნის შუიდან საჯარიმოში შეიჭრა, თაური დაარტყა, მაგრამ ააცილა.

თუკი ეკოკუსთვის შეტევა ჩვეული მდგომარეობაა, მანჩესტერელი მარჯვენა მცველი გარი ნევილი გოლის ავტორი ჯერ არასოდეს ყოფილა. მე-11 წუთზე მას საამისოდ საუცხოო საშუალება მიეცა, როდესაც სამი მეტოქის შებრძოლებას სძლია და ნილ სალივანს დაურტყა, მაგრამ გოლკიპერმა ივაჟკაცა. სალივანი ამ შეხვედრაში საგანგებო აღნიშვნის ღირსი იყო. მან მრავალი რთული დარტყმა მოიგერია, საღამოს ულამაზესი ნახტომი კი მეორე ტაიმის 25-ე წუთზე შეასრულა, როდესაც გარი პალისტერს ახლოდან დარტყმული თაური გაუუვნებლა. ორი აღსანიშნავი დარტყმა სტუმართა დანიელმა მეკარემ პიტერ შმაიხელმაც მოიგერია: 29-ზე ეკოკუს პასით ოივინდ ლეონარდსენის მცდელობა აღკვეთა მარცხენა ფეხით, შემდეგ კი ეკოკუსაც გაუმკლავდა, როდესაც ლონდონელმა ზანგმა ნახევარი მოედანი გაირბინა, გზად დენის ირვინი ჩამოიტოვა და ძლიერად დაარტყა.

მანჩესტერელმა დევიდ ბექემმა, 53-ე წუთზე ერთი თავისებური ხრიკი სცადა — ცენტრიდან გადაუგდო სალივანს. ბექემს ასეთები უწინ გასვლია, მაგალითად წლეულს, ჩემპიონატის გახსნის შეხვედრაში, მაგრამ ახლა შედეგი ვერ მიიღო — ბურთი სანტიმეტრებით გადაცდა ხარიხას.

შემდეგ, 64-ზე კი გოლიც გავიდა. გათამაშდა „უიმბლდონის" ჩვეული, მოსალოდნელი კომბინაცია: ვინი ჯოუნზმა მარჯვენა ფრთაზე კანინგემს გაუგდო, ამან მეკარის ბაქანში ჩაჰკიდა, საიდანაც მიმალულმა გეილმა თაურით დალაშქრა შმაიხელის კარი.

მატჩის ბოლო სეირი ოფსაიდი გამოდგა. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, როცა „მანჩესტერს" გასათანაბრებელი აქვს, შმაიხელი კუთხურიდან გოლის გასატანად მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა, გაიტანა კიდეც, მაგრამ...

მეოთხე ეტაპი

**არსენალი 0:1 ლიდსი**

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, მერსონი, კიოუნი, ჰიუზი (პართსონი 46), პარლოუ, მოროუ, რაიტი
**ლიდსი:** მარტინი, კელი, დორიგო, პალმერი, მოლენაარი, შელი, ჯექსონი, უოლესი (რაში 78), შარპი, დინი, ბოუერი
**გოლი:** უოლესი (12)

„არსენალი" თასზე წარმატებით ბოლოს 1993 წელს გამოვიდა. მაშინ ლონდონელთა მწვრთნელი ჯორჯ გრემი იყო. იმის შემდეგ კი გუნდს მეხუთე ეტაპამდეც არ მიუღწევია. ახლა აპირებდა, მაგრამ... ჯორჯ გრემმა შეუშალა ხელი.

„ქრთამის სკანდალის" გამო „არსენალიდან" წასული გრემი ოდესღაც მშობლიურ „ჰაიბრიზე" ახლა იშვიათი სტუმარია. და აი, თასის მეოთხე რაუნდში მეტოქის მწვრთნელის რანგში გამოცხადდა. მივიდა, ნახა, გაიმარჯვა. თუმცა მადლობა ბედსაც უნდა უთხრას: მისი გუნდის სასარგებლოდ მოთამაშეთა გარდა ხარიხა და ძელიც ირჯებოდნენ. კარგად ითამაშა მეკარე ნაიჯელ მარტინმა. თანაც, „ლიდსს" სწრაფი გოლის გატანაშიც გაუმართლა. ეს როდ უოლესის მეშვიდე გოლი გახლდათ სეზონის ყველა შეჯიბრებაში, რომლის დროსაც ლონდონის გუნდის დაცვა უჩვეულოდ ცუდად გაისარჯა. მასპინძლებმა ლიდსელ ჭაბუკ იან ჰარტს საშუალება მისცეს უოლესისთვის მარჯვნივ პასი გადაეწოდებინა. უოლესმა მისკენ გაქანებული ტონი ადამსი მოიცილა და კარისკენ გზა გაისუფთავა. დარტყმული ძელს მოხვდა, დაბრუნდა და განმეორებით, სწორად, ბადეში შევარდა.




არსენალი — ლიდსი. რაიტი ცდილობს, მაგრამ...

ამის შემდეგ მასპინძლებმა ინიციატივა სრულად იგდეს ხელთ და მომხდურთ საოცარი ზეწოლა აწვინეს. მაგრამ მწყობრი დაცვის, გოლკიპერის და ძელების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. დიდად გაისარჯა იან რაიტი, რომლის მოედანზე გამოჩენასაც არავინ ელოდა, რადგან ტრავმას და გრიპს ცოტა ხნის წინ ლოგინად ჰყავდა ჩაგდებული. რაიტს მარტო საწყის 10 წუთში ჰქონდა სამი გოლის გატანის შესაძლებლობა. მათ შორის უკეთესი მერსონის მოწოდებულ კუთხურს მოჰყვა, მაგრამ ბურთი სტუმართა კაპიტანს, რაიტსავით ნაგრიპალ კარლტონ პალმერს მოხვდა. ტაბლოზე არაფერი შეცვლილა.

**ბოლტონი 2:3 ჩესტერფილდი**

0:1 დევისი (7), 1:1 ტეილორი (14), 1:2 დევისი (50), 1:3 დევისი (75), 2:3 გრინი (89)

**პიტერბორო 2:4 რექსჰემი**

1:0 ჩერლერი (20), 1:1 უორდი (23), 2:1 გრიფიტსი (47), 2:2 უოტკინი (57), 2:3 რასელი (58), 2:4 რასელი (64)

მესამე ეტაპის გადათამაშებაში „ქოვენთრიმ" სტუმრად 2:1 დაამარცხა „უოქინგი" და ახლა მეხუთე ეტაპის საგზურს „ბლექბერნს" შეეცილება.

## ახალი ომი?

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე დიდი ამბავია ატეხილი. გერმანია და ინგლისი ერთმანეთს ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ. უეფამ უპირატესობა გერმანელებს მიანიჭა, ამან კი ინგლისელები სასტიკად გაანაწყენა. ორივე ქვეყანაში გამალებით ამუშავდნენ. გერმანიის და ინგლისის ტელეარხები სისტემატურად გადასცემენ სიუჟეტებს, ფედერაციების წარმომადგენლები არიგებენ ტელეინტერვიუებს, დიდი ამბავია პრესაშიც.

ინგლისელებმა მას შემდეგ ატეხეს აჟიოტაჟი, როცა უეფადან მიიღეს ფაქსი, რომლითაც უეწყათ, რომ ევროპიდან მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ერთადერთი კანდიდატი გერმანია იყო. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლის დევიდ დევისის განცხადებით, ამ ამბის შეტყობისთანავე მათ გააგზავნეს საპასუხო ფაქსი და უეფას ამ გადაწყვეტილების ახსნა მოსთხოვეს. დევისის თქმით, „არცერთ ჩვენს კითხვაზე უეფამ გარკვეული პასუხი არ მოგვცა." მას შემდეგ, რაც ინგლისმა ბრწყინვალედ უმასპინძლა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატს, ალბიონელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის გამასპინძლება და ამის თაობაზე უეფაში ოფიციალური განცხადების შეტანა განიზრახეს. ინგლისელებს ფაქსი 12 თებერვალს უნდა გაეგზავნათ, უეფამ კი თავისი გადაწყვეტილება მანამდე მიიღო. თავის მხრივ, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ნირბახმა განაცხადა, რომ 1993 წელს ლას ვეგასში, ფიფას კონგრესზე გერმანიამ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა, მომდევნო წელს, ჩიკაგოში ამ სურვილს ოფიციალური სახე მისცა, 1995-ში კი უეფას კონგრესზეც იგივე განაცხადა. ნირბახმა გაიხსენა, რომ ამ სამივე შეხვედრას ესწრებოდა ინგლისის ფედერაციის ასოციაციის პრეზიდენტი, უეფას ვიცე-პრეზიდენტი ბერტ მილიჩიპი. თავად მილიჩიპმა ნირბახის საპასუხოდ განაცხადა, რომ იგი მართლაც ესწრებოდა სამივე შეხვედრას, მაგრამ არ ახსოვს, რომ გერმანელებს ოფიციალურად მიემართათ უეფასთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის თაობაზე. მილიჩიპის ნათქვამმა ფიფას გენერალური მდივნის აიგნერის ყურამდეც მიაღწია და ძალიანაც აღაშფოთა იგი: „შეუძლებელია, უეფას ვიცე-პრეზიდენტი დაესწროს სამ სხდომას და ვერცერთხელ ვერ მოისმინოს გერმანული მხარის ოფიციალური განცხადება."

ორშაბათს უეფამ მიიღო შოტლანდიის, უელსის და ჩრდილო ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციებიდან გაგზავნილი ფაქსები, რომლებშიც ისინი იტყობინებოდნენ, ნამდვილად არაფერი გვსმენია გერმანელთა ოფიციალური განცხადების თაობაზე და ამის შესახებ პირველად გვესმისო. უელსის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი დევიდ კოლინზი კი ირწმუნება, რომ ორი წლის წინ ესწრებოდა უეფას კონგრესს, მაგრამ არაფერი იმის მსგავსი, თითქოს გერმანელებს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე ოფიციალური განცხადება შეეტანათ, არ სმენია.

სამშაბათს გერმანიის ტელევიზიით გამოსვლისას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა განაცხადა, რომ კარგად ახსოვს ის დღე, როცა ფედერაციის წარმომადგენელთა ჯგუფი ციურიხში, ფიფას შტაბ-ბინაში ჟოაო აველანჟს შეხვდა. ბრაუნის თქმით, შეხვედრას უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონიც ესწრებოდა. ბრაუნი იხსენებს: „როცა აველანჟს განვუცხადეთ, რომ გერმანიამ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა, ჟოაომ გვითხრა, რომ მოხარულია და აღგვითქვა, ჩემს ხმას თქვენ მოგცემთო. იგივე თქვა იუჰანსონმაც".

ამ დროს კი ინგლისში ტელევიზიით გამოსულმა პრემიერ მინისტრმა ჯონ მეიჯორმა განაცხადა, რომ მზადაა ყველანაირად მხარში ამოუდგეს ფეხბურთის ასოციაციას და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვონ. მეიჯორმა უეფას გადაწყვეტილების შეცვლა ურჩია.

ცხარე კამათი კვლავაც გრძელდება. ცხადია, ინგლისელები იოლად არ დათმობენ თავისას, თუმცა რას მიაღწევენ, ამის თქმა დღესდღეობით ძნელია.

**ლაშა გოდუაძე**

## სასამართლოს დარბაზიდან-8

ვინჩესტერის სამეფო სასამართლოს წინაშე წამდგარმა ბრალდებულმა, მალაიზიელმა ბიზნესმენმა ჰენგ სუან ლიმმა, ნაფიც მსაჯულებს თავისი მკაფიო და ჩამოყალიბებული ისტორია მოუთხრო. მოგეხსენებათ, ლიმს შორეული აღმოსავლეთის სანიძლაო სინდიკატსა და ინგლისურ კლუბებში მოთამაშე მექრთამე მეკარეებს ბრიუს გრობელაარსა და ჰანს სეგერსს შორის შუამავლობა ბრალდება. მეოთხე ბრალდებულია „ასტონ ვილას" ყოფილი ფეხბურთელი ჯონ ფაშანუ, რომელიც ლიმის მარჯვენა ხელადაა მიჩნეული.

31 წლის ჰენგ სუან ლიმმა ბუდას წინაშე დაიფიცა, რომ იტყვის სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა, შემდეგ კი საზოგადოებას თავისი ბავშვობა გააცნო. იგი და მისი დები ბავშვები ყოფილან, როდესაც მშობლები გასცილდნენ ერთმანეთს. ლიმი ობოლთა თავშესაფარში გადაიყვანეს. აქ მან ფეხბურთის თამაშს მიჰყო ხელი და გახდა თავშესაფრისა და ქალაქის (კუალა ლუმპურის) რამდენიმე გუნდის წევრი. თავგამოდებული თამაშისთვის მეტსახელად „რიჩარდ ლომგული" შეარქვეს, ამიტომაც გახდა ინგლისში გადასახლების შემდეგ ყველასთვის რიჩარდად ცნობილი. ინგლისში მალაიზიელი 1986 წელს გადაბარგდა.

1987 წელს ლიმმა სამშობლოდან ორი წერილი მიიღო. მეორე, 18 მაისით დათარიღებული ბრალდების ინტერესის საგანი შეიქნა. იქ წერია: „შენ უნდა დაუახლოვდე ისეთ გუნდებს, რომლებიც გამოგვადგება. სანამ რაიმეს მოიმოქმედებ, ფეხბურთელებს ნურაფერს დაპირდები, მხოლოდ ფეხბურთზე ესაუბრე, დაუმეგობრდი და ფრთხილად იყავი."

წერილის ავტორია ვინმე ბატონი ონგი.

ვექილმა ჯერომ ლინჩმა ბრალდებულს წერილის ახსნა-განმარტება მოთხოვა.

— ვფიქრობ, მას ჩემგან ერთადერთი რამ, მოთამაშეებთან დაახლოება და კლუბების შიგნიდან ინფორმაციის მოპოვება უნდოდა. ფეხბურთელებმა ყველაფერი იციან შემადგენლობის, ტრავმების, ამა თუ იმ ამხანაგის ტესტირების შესახებ და ასეთი ცნობების გადაცემა მალაიზიელ მონიძლავეთათვის უებარი იქნებოდა — განაცხადა ლიმმა (ბუქმეიქერობა მალაიზიაში აკრძალულია).

კითხვაზე, იმ დროს იცნობდა თუ არა რომელიმე ფეხბურთელს, ლიმმა უარყოფითად უპასუხა, ხოლო ფრაზა „ნურაფერს დაპირდები" ახსნა ისე, რომ ზემოხსენებული ინფორმაციის მიღებაში ფულის შეთავაზებას უკრძალავდნენ. რაც შეეხება წერილის სხვა ფრაზას — „ფრთხილად იყავი", ლიმის თქმით, იგივეა, რაც „თავს გაუფრთხილდი".

ვექილმა ლინჩმა ბრალდებულს ჰკითხა: — იცოდით, რომ ასეთ საქმეში ჩათრევით თქვენ კანონის დარღვევისკენ გიბიძგებდნენ?

— არა.

ონგის წერილში სხვაც წერია: „ღმერთმა გადმოგვხედა, „უიმბლდონი" კარგი გუნდი იყო. თუ მომავალ ტურნირზე ფული შემომივიდა, ნაწილს გამოგიგზავნი, დანახარჯი რომ დაფარო."

ლიმმა ახსნა, რომ დანახარჯში იგულისხმებოდა ფოსტაში ჟურნალ-გაზეთებსა და სატელეფონო საუბრებში დახარჯული ფული, ხოლო რა ტურნირს გულისხმობდა მოგების იმედით მყოფი წერილის ავტორი, მან არ იცის.

დაპატიმრებისას პოლიციამ ლიმს ხელჩანთა ჩამოართვა, რომელშიც უამრავი მისამართი და ბიზნეს-ბარათი იპოვეს. ლიმმა არ უარყო, რომ ამ ბარათთა ავტორებს იცნობს. მან აღიარა, რომ მის ნაცნობთა შორის მრავლად არიან მალაიზიელი წარჩინებულები, პოლიტიკოსები თუ სამეფო ოჯახის წევრები, რომლებიც სამშობლოში ცხოვრობენ, ლონდონში ხშირად ჩადიან და ქალაქში გაძლოლას თხოვენ. მასაც მრავალჯერ წაუყვანია პატივცემული სტუმრები მდიდრულ რესტორნებსა თუ კაზინოებში.

იგი თავად ყოფილა რამდენიმე კაზინოს წევრი და ხანდახან სათამაშო მაგიდასაც მიუჯდებოდა ხოლმე.

ლიმმა ნაფიც მსაჯულებს განუცხადა, რომ საფულეში ნაპოვნი მისამართების პატრონებს იცნობს, მაგრამ მათ დასახელებას მოერიდება, რადგან იქ, მალაიზიაში ასეთ საქციელს ვერ გაუგებენ და არც აპატიებენ, განდევნიან.

— ისინი საზოგადოებაში დაწინაურებული ხალხია და თან ჩვენს სასამართლო საქმესთან კავშირი არ აქვთ — თქვა მალაიზიელმა.

ერთადერთი, ვინც ლიმმა სახელით და გვარით მოიხსენია, იოჰან ჯოზეფი იყო.

ვინ არის იოჰან ჯოზეფი? იგია ბრალდებულის „მამობილი", მალაიზიელი მულტი-მილიონერი, ბრალდების ეჭვით შორეული აღმოსავლეთის სანიძლაო სინდიკატის ფულისმპყრობელი, კაცი, რომელმაც ჰენგ სუან ლიმს ბოლო წლებში 100 ათასი გირვანქა სტერლინგი გაუგზავნა. ლიმმა გაიხსენა, რომ როდესაც ჯოზეფისაგან, ასე უქმად, ფულის მიღება იუარა, „მამობილმა" სანაცვლოდ ინგლისური საფეხბურთო კლუბებისგან ინფორმაციის მიწოდება შესთავაზა.

და რად უხდიდა 31 წლის მალაიზიელი ბიზნესმენი ფულს მეკარეებს ბრიუს გრობელაარსა და ჰანს სეგერსს? პასუხი მარტივია — ზემოხსენებული ინფორმაციის სანაცვლოდ.

ჯონ ფაშანუს? ვალი ჰქონდა და დაუბრუნა.

არანაირი მოქრთამვა.

ლიმმა და ფაშანუმ ერთმანეთი 1990 წლის ზაფხულზე გაიცნეს მალაზიაში. შემდეგი კითხვა 1993 წლის სექტემბერში, მანჩესტერის ჰილტონ-ოტელში გრობელაართან შეხვედრას ეხებოდა. ლიმმა უპასუხა, რომ საქმე საფარის პროექტს (გრობელაარისა და მისი პარტნიორის კრის ვინსენტის საერთო საქმე) ეხებოდა. მან განაცხადა, რომ ზიმბაბველ მეკარეს მიღებული ინფორმაციის სანაცვლოდ ათასი გირვანქა გადასცა.

კითხვაზე, მართალია თუ არა, რომ ფულის გადასაცემად ისინი საპირფარეშოში გავიდნენ, ბრალდებულმა უპასუხა: „ეს სრული სიცრუეა."

და მათი გახმაურებული შეხვედრა „ჰითროუს" აეროპორტში?

— არაფერი მაქვს დასამალი, მე და ბატონი გრობელაარი მართლა შევხვდით ერთმანეთს.

რაც შეეხება ფაშანუს მიერ ჩრდილო ლონდონის ბინაში გოლკიპერისთვის გადაცემულ 40 ათას გირვანქას, აქ ლიმი უბრალოა — იქ არ ყოფილა და ამ თანხის შესახებ არაფერი იცის.

სასამართლო გრძელდება.

**ზიზა კობახიძე**

ბავშვთა კვება
Gerber
ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა

# სპორტული ლატარია
# "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXII ტური

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — პორტ ვეილი | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბირმინგემი — პორტსმუთი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ჩარლტონი — ტრანმერი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| კრისტალ პალასი — ბრედფორდი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ჰადერსფილდი — ვულვერჰემპტონი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| იფსვიჩი — ქუინზ პარკი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| მანჩესტერ სიტი — საუთენდი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ოლდემი — გრიმსბი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| რედინგი — ბოლტონი | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| შეფილდ იუნაიტედი — ნორვიჩი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| სტოკ სიტი — ოქსფორდი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ვესტ ბრომვიჩი — სვინდონი | 1,8 | 3,0 | 3,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. XXIII ტური

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — კომპოსტელა | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ტენერიფე — ლოგრონიესი | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სარაგოსა — სევილია | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| სოსიედადი — ვალენსია | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| რასინგი — სპორტინგი | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| ესპანიოლი — ბარსელონა | 6,0 | 3,2 | 1,4 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ოვიედო — ვალიადოლიდი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| რაიო ვალეკანო — ბილბაო | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| ბეტისი — ესტრემადურა | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| დეპორტივო — სელტა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ერკულესი — რეალი | 5,0 | 3,1 | 1,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXI ტური

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — კოზენცა | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — ფოჯა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| კიევო — ლუკეზე | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ჯენოა — კრემონეზე | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| პადოვა — ლეჩე | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| პალერმო — ბრეშია | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| რავენა — პესკარა | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| რეჯინა — ჩეზენა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| სალერნიტანა — ემპოლი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ტორინო — ვენეცია | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XIX ტური

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — ჟილ ვისენტე | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| გიმარაეში — სეტუბალი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| პორტუ — ლეირია | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ლეცა — შავეში | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| მარიტიმუ — სალგეირუში | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| რიუ ავე — ამადორა | 3,6 | 2,8 | 1,8 |
| ფარენსე — სპორტინგი | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ესპინიუ — ბოავიშტა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ბელენენსეში — ბრაგა | 1,9 | 2,8 | 3,2 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — რეით როვერსი | 1,1 | 5,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| დანფერმლაინი — რეინჯერსი | 6,5 | 3,8 | 1,3 |
| ჰარტსი — კილმარნოკი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| მოზერველი — აბერდინი | 2,7 | 2,5 | 2,3 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXII ტური

8-9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| გენტი — ლომელი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ანტვერპენი — მუსკრონი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| სტანდარდი — ბრიუგე | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| გენკი — ეკერენი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| სენტ ტრიუდენი — შარლერუა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ლიერსი — მეხელენი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სერკლ ბრიუგე — ანდერლეხტი | 7,0 | 4,4 | 1,2 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| ჰარელბეკი — აალსტი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| მოლენბეკი — ლოკერენი | 1,7 | 2,9 | 4,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXI ტური

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონსპორი — ზეითინბურნუ | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,4 | 5,0 |

8 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კოჩაელისპორი — ბეშიქთაში | 5,3 | 3,4 | 1,4 |

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჩე — გალათასარაი | 2,4 | 2,5 | 2,5 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# CROCO-2

## ტირაჟი №16

1. სარაგოსა — სევილია
2. სოსიედადი — ვალენსია
3. რასინგი — სპორტინგი
4. ოვიედო — ვალიადოლიდი
5. რაიო ვალეკანო — ბილბაო
6. ერკულესი — რეალი
7. სტანდარდი — ბრიუგე
8. ფენერბაჩე — გალათასარაი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

### ფსონები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,5 |
| დორტმუნდი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ლივერპული | 2,3 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 2,5 |
| არსენალი | 3,5 |
| ნიუკასლი | 3,5 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,7 |
| მუსკრონი | 2,5 |
| ანდერლეხტი | 3,5 |
| სტანდარდი | 6,0 |
| ლიერსი | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,8 |
| რეალი | 1,8 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი | 1,15 |
| ფეიენოორდი | 3,8 |
| აიაქსი | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ | — |
| ბენფიკა | 9,0 |
| სპორტინგი | 9,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,8 |
| ფენერბაჩე | 2,5 |
| ტრაბზონსპორი | 4,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,4 |
| პარი სენ ჟერმენი | 2,5 |
| ბორდო | 7,0 |
| ნანტი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1,3 |
| ინტერი | 4,0 |
| სამპდორია | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ქსამაქსი | 1,7 |
| გრასჰოპერი | 2,5 |
| სიონი | 7,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| რაპიდი | 1,25 |
| ზალცბურგი | 3,1 |
| ტიროლი | 5,0 |
| აუსტრია | 8,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,1 |
| სელტიკი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 |

### ფსონები ევროპის საკლუბო ტურნირებში გამარჯვებაზე

UEFA CHAMPIONS LEAGUE — UEFA Cup Winners' Cup — UEFA UEFA CUP

**ჩემპიონთა თასი**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 |
| მანჩესტერი | 4,5 |
| დორტმუნდი | 4,5 |
| აიაქსი | 5,5 |
| პორტუ | 6,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| ოსერი | 10,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |

**თასების თასი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 2,5 |
| ლივერპული | 2,5 |
| პარი სენ-ჟერმენი | 4,0 |
| ფიორენტინა | 4,0 |
| ბენფიკა | 7,0 |
| აეკი | 10,0 |
| აიკი | 50,0 |
| ბრანი | 50,0 |

**უეფას თასი**

| | |
|---|---|
| ინტერი | 2,5 |
| ნიუკასლი | 2,5 |
| ვალენსია | 5,0 |
| მონაკო | 5,0 |
| ტენერიფე | 6,0 |
| შალკე | 8,0 |
| ანდერლეხტი | 10,0 |
| ბრონდბიუ | 15,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

# გულზე ჩემპიონ მეწერა...



წლევანდელ წარმატებას თბილისის სულხან საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ინფორმატიკის კათედრის დოცენტმა მერაბ თხელიძემ საფუძველი შარშან ჩაუყარა — 28 დეკემბერს ინგლისის ქალაქ ჰასტინგსში საჭადრაკო მაგიდას მიუჯდა. ნისლიან ალბიონზე მოყვარულ მოჭადრაკეთა მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი ტარდებოდა...

— ჰასტინგსში საახალწლოდ ორი ტრადიციული, „ჩელენჯერ" და „პრემიერ" ტურნირები ეწყობა. მათი ისტორია 1895 წლიდან იწყება. შარშან ფიდეს ახალი პრეზიდენტის ილუმჟინოვის წინადადებით აქვე გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი მოყვარულთა შორის. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველას, ოღონდ ერთი პირობით — არ უნდა ჰქონდეს საერთაშორისო წოდება ანაც რეიტინგი. ამა თუ იმ ქვეყნის ფედერაციას უფლება აქვს ამ ჩემპიონატზე წარადგინოს ორი ეროვნული კლასის ოსტატი. ისინი მონაწილეობის უფლების მისაღებად თანხას — 36 გირვანქა სტერლინგს არ იხდიან. სხვას, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია შეიტანოს შეჯიბრების ხაზინაში ეს თანხა და ორგანიზატორებიც ასპარეზობის ნებას რთავენ. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ჩემპიონატზე მე და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების დეპოს მთავარი ინჟინერი ნიკოლოზ ხეჩიკაშვილი წარგვადგინა.

ჩემპიონატმა 19 ქვეყნის 84 მოჭადრაკეს მოუყარა თავი. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით, ცხრა ტურად ჩატარდა. პირველ ადგილზე 8,5 ქულით ესტონელი ოლეგ შულცი გავიდა, მეორეზე მე — 8 ქულით, მესამეზე — ნიკოლოზ ხეჩიკაშვილი. მეოთხე ადგილი დაიკავა სომხეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა ვანიკ ზახარიანმა. ამ, პირველ ოთხეულს უფლება მოგვეცა გაისად „ჩელენჯერ" ტურნირში გამოვიდეთ. გამარჯვებულ შულცს ფიდეს ოსტატობაც მიენიჭა და 2 200 სარეიტინგო ქულაც მიიღო. გაითვალისწინა რა ჩემი მაღალი შედეგი, ფიდემ ოსტატობაზე წარმადგინა, თუმცა, წესითა და რიგით, ეს მე არ მეკუთვნოდა. მე რეიტინგით 2 100 ქულა მომცეს, ხეჩიკაშვილს — 2 050. ფულად ჯილდოსთან ერთად ყველაზე სწრაფი მოგებისთვის, მეტოქის 20 წუთში დამარცხებისთვის, გადმომცეს ორიგინალური პრიზი — მალვიძარა.

**— დიდი ბრიტანეთი და მითუმეტეს მისი საელჩოები კონსერვატიულობით გამოირჩევიან. დაბრკოლებები ხომ არ შეგქმნიათ ამასთან დაკავშირებით?**

— ჩემი გამგზავრება ციტნოტურ ვითარებაში მოხდა. საინგლისო ბილეთი თურქეთის გავლით თბილისში თვითმფრინავის ტრაპზე ავიღე. ეს იმის გამო მოხდა, რომ თბილისის პოლიციის სამმართველოს მიერ ჩემთვის გამოყოფილმა 1 000 დოლარმა ვერ მომისწრო. ეს ფული 27 დეკემბერს უნდა ამეღო, მე კი ინგლისში 26-ში უნდა ჩავსულიყავი. გზის ფულით ჟიული შარტავას ფონდი და ფირმა „ავტოსერვისი" დამეხმარნენ, თორემ ვერ წავიდოდი. ამათთან სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ვახტანგ სართანიამ დამაკავშირა. მანამდე კი, გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე შევიტყვე, რომ აუცილებელი იყო ჩემი მოსკოვში დიდი ბრიტანეთის საელჩოში ჩასვლა, სადაც ჩემი საბუთები იყო გადაგზავნილი. დიდი დავიდარაბისა და ვაჭრობის შემდეგ — 9 თუ 10 დღიანი ვიზა მოეცათ ჩემთვის, 6-თვიანი ვიზა მომცეს, რაშიც ვინმე სომეხი ლევ აბრამიანი დამეხმარა, რომელიც საკონსულოში გავიცანი, თან 100 დოლარიც მაჩუქა და ესაც მითხრა, თქვენ ისეთი ჟინით ხართ შეპყრობილი, დარწმუნებული ვარ ჩემპიონი გახდებით და ამ გამარჯვებაში ჩემი წვლილიც იყოსო.

ინგლისის ვიზა ერთ დღეში, მგონი, არავის გაუკეთებია და რომ არა ჩემი დაჟინება, ამას ვერც მე მოვახერხებდი. მთელი საკონსულო შევაწრიალე, რუსეთში ჩვენი საელჩოცა და პირადად ელჩი ვაჟა ლორთქიფანიძეც ჩავრთე საქმეში. მისი დახმარებით კონსულმა მიმიღო. ბევრი ვესაუბრე ჭადრაკზე და ჩემს უზომო სურვილზე, მეთამაშა ინგლისში მსოფლიოს ჩემპიონატზე. „კი მაგრამ, რომ მიდიხართ, რომელი ადგილის დაკავებას აპირებთო" — მკითხა კონსულმა. მე პერანგი გადავიღელე, მკერდი მივუშვირე და დავანახე მაისური, რომელსაც ეწერა „ჩემპიონ". მას გაეცინა და განკარგულება გასცა, ამ კაცს ვიზა მიეცითო.

ინგლისური ენა არ ვიცი, თან პირველად მივდიოდი ბრიტანეთში და ველოდი, გზის გაკვლევა გამიჭირდებოდა. აქაც ბედმა გამიღიმა. თურქეთიდან მიმავალს თვითმფრინავში ერთი იქაური ბიზნესმენი შემხვდა, რომელიც ჭადრაკის თეორიის წიგნს ჩაჰკირკიტებდა. გამოველაპარაკე და გაირკვა, რომ ისიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მიდიოდა მონაწილეობის მისაღებად. ვთხოვე, მეგზურობა გაეწია და მასაც უარი არ უთქვამს.

ამ თურქს, ბურაკ აკუგს ჩემპიონატის ბოლო ტურში შევხვდი, მოვუგე და მესამე ადგილი დავაკარგვინე, რის გამოც ძლიერ დამწყდა გული, მაგრამ მე ჩემპიონობის რეალური შანსი მქონდა მოგების შემთხვევაში, თუ შულცი ან წააგებდა, ანაც ყაიმს ითამაშებდა. ერთნაირი შედეგის შემთხვევაში უპირატესობა მე მომენიჭებოდა, რადგანაც პირველი ხუთი ტური წაუგებლად გავიარე. ესტონელს ერთი წუთი ჰქონდა დარჩენილი და 20 სვლის გაკეთება უნდა მოესწრო. თვალს არ ვაშორებდი მის მაგიდას, თურქთან კი პარტიას ძალით ვჭიმავდი, თორემ ისე ნახევარ საათში მოვუღებდი ბოლოს. შულცმა შეუძლებელი შეძლო, ერთ წუთში 20 სვლა გააკეთა და პარტიაც გადაიდო. საბოლოოდ მან გაიმარჯვა და ჩემპიონიც გახდა. მე მასთან მეექვსე ტურში დავმარცხდი — უპირატესობა მქონდა, მაგრამ დროში ვერ ჩავეტიე.

ფინანსურად ძალიან გამიჭირდა, უფულობის გამო მხოლოდ ორჯერ ვისადილე, ისიც დავით ბრონშტეინმა დამპატიჟა, რომელიც „ჩელენჯერ" ტურნირში ასპარეზობდა. ბინის ფული მხოლოდ რვა დღეზე მეყო და ბოლო ორი დღე სადგურში გავატარე.

მართალია, ასეთ რთულ პირობებში მომიხდა ასპარეზობა, მაგრამ ინგლისში გამარჯვების სურვილით წავედი, თანაც მესამე ტურის შემდეგ პირველ ოთხ მონაწილეს მაგიდაზე მისი ქვეყნის დროშას უდგამდნენ. გინდა დამიჯერეთ, გინდ არა, ეს დროშა დამატებით სტიმულს მაძლევდა — ჰასტინგსში ხომ მე ავაფრიალე საქართველოს დროშა.

**— ჩემპიონატი როგორ იყო ორგანიზებული?**

— შეჯიბრი ლამანშის სრუტეში შეჭრილი ციხე-სიმაგრის ყაიდის ნაგებობაში ტარდებოდა. შესანიშნავი იყო მომსახურება და ორგანიზაცია. ბოლო ორი დღე თოვლი წამოვიდა, წარმოიდგინეთ, ამის გამო ქალაქის მერმა დახურვის ცერემონიალზე ბოდიშიც კი მოგვიხადა...

**ერეკლე ძიძილაშვილი**

## ფიდემ ის გვარგუნა

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მოჭადრაკეთა რეიტინგები ვაჟებში, ქალებში და მოზარდებში. რეიტინგში გათვალისწინებულია ყველა ის ტურნირი, რომელიც წლევანდელ პირველ იანვრამდე გაიმართა.

ვაჟთა ათეული ასე გამოიყურება:

| | | |
|---|---|---|
| 1. გარი კასპაროვი | რუსეთი | 2795 |
| 2. ვიშვანატან ანანდი | ინდოეთი | 2765 |
| 3. ანატოლი კარპოვი | რუსეთი | 2760 |
| 4. ვლადიმირ კრამნიკი | რუსეთი | 2740 |
| 5. ვასილი ივანჩუკი | უკრაინა | 2740 |
| 6. ვესელინ ტოპალოვი | ბულგარეთი | 2725 |
| 7. გატა კამსკი | აშშ | 2720 |
| 8. ბორის გელფანდი | ბელარუსი | 2700 |
| 9. ალექსეი შიროვი | ესპანეთი | 2690 |
| 10. ნაიჯელ შორტი | ინგლისი | 2690 |

ასეულში ორი ქართველი მოჭადრაკეა: საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ლიდერები — ზურაბ აზმაიფარაშვილი 2650 ქულით 22-ეა, გია გიორგაძე კი 2595 ქულით 71-ე.

ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1. იუდით პოლგარი | უნგრეთი | 2645 |
| 2. ჟუჟა პოლგარი | უნგრეთი | 2565 |
| 3. პია კრამლინგი | შვედეთი | 2545 |
| 4. მაია ჩიბურდანიძე | საქართველო | 2535 |
| 5. ნანა იოსელიანი | საქართველო | 2510 |
| 6. სე ჟუნი | ჩინეთი | 2500 |
| 7. ჩუ ჩენი | ჩინეთი | 2495 |
| 8. ქეთევან არახამია | საქართველო | 2490 |
| 9. სვეტლანა მატვეევა | რუსეთი | 2475 |
| 10. სოფია პოლგარი | უნგრეთი | 2475 |

საუკეთესო 50 ქალს შორის კიდევ ოთხი ქართველი მოჭადრაკეა, უფრო სწორად, ქართველი ხუთია, მაგრამ აქედან ოთხი საქართველოდანაა: მე-13-ეა ნინო ხურციძე (2430 ქულა), 29-ე — მაია ლომინეიშვილი (2385), 35-ე — ნინო გურიელი (2375), 49-ე — ნატო ეძგვერაძე (2355) და ერთიც გერმანიიდან — ქეთინო კახიანი 33-ე — 2375 ქულა.

საქართველოს წარმომადგენლები ახალგაზრდა (20 წლამდე) მოჭადრაკეებშიც არიან. ჭაბუკებში გიორგი ყაჭეიშვილი მე-14-ეა, გოგონებში კი მაია ლომინეიშვილი მეხუთე. საუკეთესო ხუთეულები კი ასე გამოიყურება. ჭაბუკები: 1. სერგეი მოვსესიანი (სომხეთი); 2. პეტერ ლეკო (უნგრეთი); 3. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი); 4. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა); 5. ემილ სუტოვსკი (ისრაელი). გოგონები: 1. ტატიანა ვასილევიჩი (უკრაინა); 2. კორინა პეპტანი (რუმინეთი); 3. ანტოანეტა სტეპანოვა (ბულგარეთი); 4. მონიკა ბობროვსკა (პოლონეთი); 5. მაია ლომინეიშვილი (საქართველო). ჭაბუკებში კიდევ ერთ ქართულ გვარს ვხვდებით — მე-7 ადგილზეა მიხეილ ქობალია, მაგრამ იგი ამ რეიტინგში უკრაინას წარმოადგენს.



## სიცივემ ვერ შეაშინა

იანვრის ბოლოს ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ტრადიციული კარატე-დოს ყველა სტილის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი და შოტოკან კარატე-დოში საქართველოს ღია ჩემპიონატი გამართეს. ქვეყნის შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირში 150 სპორტსმენი მონაწილეობდა.

კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია შარშან ნოემბერში შეიქმნა და მის პრეზიდენტად აირჩიეს ახალგაზრდა პარლამენტარი გიორგი ბარამიძე. უმოკლეს დროში ჩვენი ფედერაცია მსოფლიოს კარატე-დოს ფედერაციაში გაწევრიანდა.

ჩვენში ამ სახეობის მიმართ დიდი ინტერესი კვლავ არ ნელდება. ამის დასტურია ისიც, რომ სიცივის მიუხედავად ვერის დარბაზის ტრიბუნები თითქმის სავსე იყო. ტურნირის დაწყებამდე მაყურებლის წინაშე საჩვენებელი გამოსვლით წარდგა საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი, იაპონიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული, მეოთხე დანის მფლობელი კახა ბასილია. რაც შეეხება თავად პირველობას, აქ 12 წლამდელთა ტურნირში გაიმარჯვა თორნიკე ხუციშვილმა. 15 წლამდელთაგან სერგო ბონდარენკომ, 17 წლამდე ჭაბუკებთაგან კი დათო ჟვანიამ იმარჯვეს. კატაში პირველი იყო მიშა ჯიშკარიანი (ფეხბურთელში არ აგერიოთ). ვაჟებს არც გოგონები ჩამორჩნენ და მათაც ორ სახეობაში იასპარეზეს: კატაში გაიმარჯვა ნაირა გიორგანაშვილმა, შეჯიბრება კი მაია ბიჩინაშვილმა მოიგო.

უმთავრესი კი გახლდათ კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში შეჯიბრი. იგი რამაზ სახვაძის გამარჯვებით დამთავრდა. გუნდურ კუმიტეში კი პირველობა არავის დაუთმო შოტოკანის ნაკრებმა.



ჩვენი ხელბურთელი ვაჟების მეტოქეებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში შვეიცარიისა და ბელგიის ნაკრებებმა მეორე მატჩიც გამართეს, ამჯერად ბრიუსელში. შვეიცარიელებმა სტუმრადაც გაიმარჯვეს 24:15 და სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს. ახლა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 53:38 | 4 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 47:45 | 2 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 45:47 | 2 |
| ბელგია | 2 | 0 | 0 | 2 | 38:53 | 0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა



## გველეშაპი ალბათ არ გაგვწირავს

ხვალ შვეციის ქალაქ სუნდსვალში იწყება სპორტის ზამთრის სახეობებში ევროპის ახალგაზრდობის III ოლიმპიური დღეები. მასში მონაწილეობისთვის საქართველოს დელეგაცია გუშინ გაემგზავრა ამ საკურორტო ქალაქში. ჩვენი დელეგაციის მეთაურს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის ხელმძღვანელ თამაზ თევზაძეს სკანდინავიის ამ ქვეყანაში გამგზავრების წინ გავესაუბრეთ.

**— მკითხველისთვის ალბათ უინტერესო არ უნდა იყოს იმაზე საუბარი, თუ რას წარმოადგენს ეს შეჯიბრება, რა მიზანს ისახავს იგი?**

— ეს ასპარეზობა მესამედ ეწყობა. იგი ორ წელიწადში ერთხელ იმართება და მას სხვადასხვა ქვეყანა მასპინძლობს. ზამთრის ოლიმპიური დღეები სულ უფრო პოპულარული ხდება. ამის დასტურია ისიც, რომ შეჯიბრებაში ევროპის ლამის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები ცდიან ძალას. სუნდსვალში იასპარეზებენ 41 სახელმწიფოს დელეგაციები, რომელთა წევრების საერთო რაოდენობა 1093 კაცი იქნება. ეს შეჯიბრება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მფარველობით ტარდება. იგი საუკეთესო სკოლაა ახალგაზრდა სპორტსმენთა დასაოსტატებლად, გამოცდილების მისაღებად... ამგვარი ოლიმპიური დღეები ახალგაზრდა სპორტსმენებს აჩვევს დიდ საერთაშორისო ასპარეზობათა ატმოსფეროს. საერთო ჯამში იგი ხელს უწყობს ოლიმპიური იდეალების განმტკიცებას. ამ შეჯიბრებას წონას მატებს ისიც, რომ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მას ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად საკვალიფიკაციო ქულების მისაღები ასპარეზობის სტატუსი დააკისრა. ასე რომ, ეს შეჯიბრება გახდება ერთ-ერთი, სადაც მისი მონაწილენი ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის FIS-ის ოფიციალურ ქულებს მიიღებენ.

**— როგორია ოლიმპიური დღეების პროგრამა, საქართველოს წარმომადგენლები რომელ სახეობებში იასპარეზებენ?**

— შეჯიბრებები გაიმართება ფიგურულ სრიალში, სამთო-სათხილამურო სპორტში, ბიატლონში, ჩრდილოეთის ორჭიდში, ციგურაობაში და შორტ-ტრეკში. ჩვენი სპორტსმენები ძალას ცდიან ფიგურულ ციგურაობასა და სამთო-სათხილამურო სპორტში. გუნდში ერთი გოგონა და ექვსი ვაჟი გვყავს. ესენი არიან 16-17 წლის სამთო-მოთხილამურეები: თბილისელები სოფიო ახმეტელი, ცოტნე ებრალიძე, ბაკურიანელები მიხეილ მიქაბერიძე, რობერტ მახარაშვილი და მესტიელი მურთაზ ჯაფარიძე, მოციგურავე ვახტანგ მურვანიძე. დელეგაციაში არიან მწვრთნელებიც — ვალერიან ჯაფარიძე და გრიგოლ ასლანიანი; ჩვენი არბიტრი გიორგი იაშვილი ფიგურულ ციგურაობაში იმსაჯებს. მათ გარდა დელეგაციაში არიან საქართველოს




განათლების მინისტრის მოადგილე დავით ბურჯანაძე და სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლერი ახმეტელი.

**— კარგად გვახსოვს შარშანწინ ანდორაში გამართული ანალოგიური ოლიმპიური დღეები, სადაც ჩვენი დელეგაცია უსუსურად გამოვიდა. მაშინ საპრიზო ადგილებს ვინ ჩიოდა, როცა დელეგაციის ხელმძღვანელები შიშობდნენ, სამთო-სათხილამურო ტრასებზე არავინ დაგვიშავდესო. ახლა როგორი გეგმებით მიემგზავრებით?**

— მაშინ, ანდორაში საქართველოს სპორტსმენთა დებიუტი ზამთრის ოლიმპიურ დღეებზე მართლაც მეტად უფერული გამოდგა. ნუგეში სულაც არ ყოფილა ის, რომ ჩვენსავით უმედლოდ 22 ქვეყნის სპორტსმენები დარჩნენ. ანდორაში ჩვენი ხუთი სპორტსმენიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ფიგურული ციგურაობის ოსტატ ვახტანგ მურვანიძეს, რომელიც 19 მონაწილეს შორის ნავარაუდევ უძლიერეს ექვსეულში ვერ მოხვდა და XII ადგილი დაიკავა. ახლა მას მეტი მეტოქე — 25 სპორტსმენი გაუწევს კონკურენციას, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იგი გაცილებით უკეთ გამოვა. ასეთივე იმედები გვაქვს ჩვენი სამთო-მოთხილამურეებისაც, რომელთაგან ბოლოდროინდელი წარმატებებით სოფიო ახმეტელი გამოირჩევა.

იმედია, სუნდსვალის სიმბოლო და მფარველი გველეშაპი, რომელიც ამ თამაშების თილისმაცაა, არც ჩვენ გაგვწირავს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ოლიმპიური რგოლები ფართოვდება

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები როგორც სპორტის ზამთრის, ისე ზაფხულის სახეობებში რომ სულ უფრო პოპულარული ხდება, ეს ცხადია, მაგრამ ნორჩი და ჭაბუკური ასაკის სპორტსმენებს უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებიც ელით. ერთ-ერთი მათგანია მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშები, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მფარველობით გაისად მოსკოვში დაედება სათავე. ვარაუდობენ, რომ მასში ყველა კონტინენტის 5 ათასამდე სპორტსმენი გამოვა.

თამაშების პროგრამაში სამი განყოფილებაა: თავად სპორტული პროგრამა, კულტურული პროგრამა და სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებების პროგრამა. სპორტული პროგრამა 13 სახეობაში შეჯიბრებებს ითვალისწინებს.

ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვევები უკვე გაეგზავნათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრ 198-ივე ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც.

ამას გარდა, ცნობილი გახდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი განიხილავს საკითხს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების რეგულარულად ჩასატარებლად, რომელშიც 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები გამოვლენ. სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის თქმით, ახალგაზრდული ოლიმპიადა შეიძლება ჩატარდეს უკვე 1999 წელს სიდნეიში — ერთი წლით ადრე, მანამ აქ ნამდვილი ოლიმპიადა გაიმართება.

ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩატარების პროექტი უნდა დამტკიცდეს წლეულს სექტემბერში გასამართ სოკ-ის სხდომაზე. ვარაუდობენ, რომ შეჯიბრებები სპორტის 10 სახეობაში გაიმართება და იგი 20-30 მილიონი დოლარი დაჯდება.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

3 თებერვალი

ბოსტონი — ტორონტო 114:102, საკრამენტო — სან ანტონიო 85:79, იუტა — ვაშინგტონი 111:89

4 თებერვალი

შარლოტი — მინესოტა 115:101, ნიუ ჯერსი — ვანკუვერი 111:105, ორლანდო — ინდიანა 111:87, ნიუ იორკი — ჰიუსტონი 99:95, დალასი — საკრამენტო 104:96, კლივლენდი — მილუოკი 79:78, ჩიკაგო — პორტლენდი 88:84, ატლანტა — გოლდენსტეიტი 107:85, კლიპერსი — ლეიკერსი 108:86

### აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 34 | 12 | 73,9 |
| ნიუ იორკი | 33 | 14 | 69,6 |
| ორლანდო | 23 | 20 | 53,5 |
| ვაშინგტონი | 22 | 24 | 47,8 |
| ნიუ ჯერსი | 13 | 32 | 28,9 |
| ბოსტონი | 11 | 33 | 25,0 |
| ფილადელფია | 11 | 34 | 24,4 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 42 | 5 | 89,4 |
| დეტროიტი | 33 | 12 | 73,3 |
| ატლანტა | 31 | 14 | 68,9 |
| შარლოტი | 28 | 19 | 59,6 |
| კლივლენდი | 25 | 21 | 54,3 |
| ინდიანა | 22 | 23 | 48,9 |
| მილუოკი | 21 | 25 | 45,7 |
| ტორონტო | 16 | 29 | 35,6 |

### დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 32 | 14 | 69,6 |
| ჰიუსტონი | 32 | 15 | 68,1 |
| მინესოტა | 22 | 25 | 46,8 |
| დალასი | 16 | 28 | 36,4 |
| დენვერი | 15 | 32 | 31,9 |
| სან ანტონიო | 11 | 32 | 25,6 |
| ვანკუვერი | 9 | 41 | 18,0 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 34 | 13 | 72,3 |
| სიეტლი | 32 | 14 | 69,6 |
| პორტლენდი | 25 | 23 | 52,1 |
| საკრამენტო | 21 | 27 | 43,8 |
| კლიპერსი | 19 | 25 | 43,2 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 29 | 37,0 |
| ფინიქსი | 16 | 31 | 34,0 |

## რაისის კვირა

„შარლოტ ჰორნეთსის" გლენ რაისი გახდა ნბა-ს ბოლო კვირის საუკეთესო მოთამაშე. რაისმა ამ შვიდეულში გამართულ ოთხ შეხვედრაში საშუალოდ 36,8 ქულა დააგროვა. გლენის 82 ნასროლი ბურთიდან 47 ჩაეშვა კალათში (57,3 პროცენტი), ხოლო 25 სამქულიანიდან 14 იყო ზუსტი (56,0 პროცენტი). რაისმა ბოლო 10 მატჩში 9-ჯერ ჩააგდო 30 ქულაზე მეტი.

წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ ნბა-მ აღიარა „საკრამენტო კინგზის" უკანახაზელი მიჩ რიჩმონდი.




## ოლ-სტარის დანაკლისი

„ჰიუსტონ როკიტსის" მოთამაშენი ჩარლზ ბარკლი და კლაიდ დრექსლერი ვერ მიიღებენ მონაწილეობას 9 თებერვალს კლივლენდში გასამართ ოლ-სტარში. სამშაბათს ბარკლიმ თქვა, რომ ნაღრძობი კოჭი არ აძლევს თამაშის საშუალებას. სერ ჩარლზმა უკვე გამოტოვა „ჰიუსტონის" ბოლო ექვსი მატჩი. „მზად არ ვარ სათამაშოდ. არა მგონია, უცბად ისე გამოვკეთდე, რომ კვირას მოედანზე გავიდე" — განაცხადა მან.

სასწრაფოდ დასახელდა ბარკლის შემცვლელი. „სიეტლის" ფორვარდი დეტლევ შრემპფი დაშავებულის ადგილს დაიკავებს სასტარტო ხუთეულში. „შრემპფი კარგი მოთამაშეა. ნბა-მ სწორი არჩევანი გააკეთა" — აღნიშნა სერ ჩარლზმა.

კლაიდ დრექსლერმა სამშაბათს, „ნიუ იორკის" წინააღმდეგ თამაშისას დაიზიანა მარჯვენა ფეხის კუნთი. კალათბურთელის თქმით, იგი ვერ ითამაშებს სულ ცოტა ორ კვირას და ყველაზე მეტი ორ თვეს. დრექსლერის შემცვლელის ვინაობა დღეს უნდა გახდეს ცნობილი.

ჩატენვის კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს „ფილადელფიის" ალენ აივერსონი. იგი გამოტოვებს აგრეთვე 8 თებერვლის „ახალბედათა ოლ-სტარს". ამის მიზეზი მარცხენა მხრის დაჭიმულობაა.

## „დიდების დარბაზის" ახალი წევრები

ამერიკული კალათბურთის „დიდების დარბაზს" შვიდი ახალი წევრი ჰყავს. მათგან ერთი ევროპელია — ლეგენდარული ესპანელი მწვრთნელი ანტონიო დიას მიგელი. ეს კაცი 27 წლის განმავლობაში წვრთნიდა ესპანეთის ნაკრებს, ათამაშა ექვსი ოლიმპიადა და ევროპის ჩემპიონატის 14 ფინალი. დიას მიგელმა უდიდეს წარმატებას 1984 წელს მიაღწია, როცა ესპანეთის ნაკრებმა ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები მოიგო.

„დიდების დარბაზში" აღმოჩნდა აგრეთვე სახელოვანი ამერიკელი პროფესიონალი ალექს ინგლიში. იგი პირველი კალათბურთელი იყო, რომელიც ზედიზედ რვა სეზონის განმავლობაში 2 ათას ქულაზე მეტს აგროვებდა.

ინგლიშს მხარი დაუმშვენეს ბეილი ჰაუელმა (1959-71 წლებში გამოდიოდა „დეტროიტში", „ბალტიმორში", „ბოსტონსა" და „ფილადელფიაში"), სტუდენტური კალათბურთის მწვრთნელებმა დონ ჰესკინსმა და პიტ კარილმა, აგრეთვე კალათბურთელმა ქალებმა ჯოან კროუფორდმა და დენიზ კარმა. ჰესკინსი 35 წლის განმავლობაში წვრთნიდა ტექსას-ელ პასოს უნივერსიტეტს.



## ვარიანში კრივობა გრძელდება

საქართველოს მოკრივეთა ახალგაზრდული ნაკრები კვლავ შეკრებაზეა გორში, სოფელ ვარიანში და ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც მაისში ინგლისში, ბირმინგემში გაიმართება. მანამდე, თებერვლის შუა რიცხვებში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ირანს გაემგზავრება — საერთაშორისო ტურნირზე სასპარეზოდ. უნდა ითქვას, რომ ირანის საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდულ გუნდებს კი არა, უფროსთა ნაკრებებს იწვევენ, მაგრამ ამჯერად ჩვენი კრივის ფედერაციის გადაწყვეტილებით და კრივის საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები წარმოადგენენ. ბიჭები 10 თებერვლამდე დარჩებიან და ივარჯიშებენ გორში ნაკრების უფროსი მწვრთნელის გიორგი კანდელაკისა და მწვრთნელის ბესან სიჭინავას ხელმძღვანელობით, 12-ში კი ირანს გაემგზავრებიან.



## საპარიზო ლიცენზიებისთვის ირბენენ

მარტის დასაწყისში პარიზი მძლეოსანთა ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს საუკეთესო მძლეოსანი მაია აზარაშვილი, მოგეხსენებათ, ამჟამად გერმანიაშია, ვარჯიშობს და აპირებს კიდეც პარიზში ჩასვლას და ასპარეზობას. მაია მარტო არ იქნება პარიზში. ბათუმელი სპრინტერი რუსლან რუხია ბიძამისის სახსრებით მოსკოვს გაემგზავრა, იქ ვარჯიშობს და მოსკოვის საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზა. არცთუ ურიგოდ — მე-4 ადგილი დაიკავა 60 მეტრ დისტანციაზე.

კიდევ ერთი სპრინტერის იმედი აქვთ ჩვენებურებს. თამრიკო შანიძემ თუ რუსეთის ღია ჩემპიონატზე იასპარეზა და სამსოფლიოჩემპიონატო ლიცენზია მოიპოვა, პარიზში ვიხილავთ. შანიძის მსგავსად, ალბათ, რუსლან რუხიძესაც მოუწევს რუსეთში სირბილი ლიცენზიისთვის, რადგან მოსკოვში დაკავებული მე-4 ადგილი საკმარისი არ იქნება საფრანგეთში მოსახვედრად.

რაც შეეხება შინაურ საქმეებს, ჩვენი მძლეოსნები 14-15 თებერვალს თბილისში შეიკრიბიან და საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.



# ჩვენ — ორი ოქრო, რუსებს — ჩემპიონატი

ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მონაწილეთა სიუხვითა და ოსტატობითაც გამოირჩეოდა მუდამ, მაგრამ წლევანდელ ტურნირს გამორჩეული უნდა ვუწოდოთ: მოგეხსენებათ, ეს ასპარეზობა ტრადიციულად კრასნოიარსკში იმართება და რუსეთის ჭიდაობის ფედერაცია მთელი წელია ეხვეწება ფილას პრეზიდენტს ერცეგანს, 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც ბარემ კრასნოიარსკში გავმართოთო. ერცეგანიც თითქმის დაიყოლიეს, მაგრამ მას ერთი ულტიმატუმი მაინც წაუყენებია რუსებისთვის: რაკი კრასნოიარსკი ამოგიჩემებიათ სამსოფლიოჩემპიონატო ქალაქად, აგერ, ბატონო, იარიგინის ტურნირი კარს მოგდგომიათ, ვნახოთ, როგორ იყოჩაღებთ, როგორ ჩაატარებთ ამ შეჯიბრებას და საბოლოო პასუხს თებერვლის დამდეგს მოგახსენებთო.


ელდარ კურტანიძე


დავით პოლოსიანი

რუსებსაც რაღა დარჩენოდათ, წელებზე ფეხი დაიდგეს, თავი არ დაუზოგავთ და ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. კავკასიელები და აღმოსავლეთ-დასავლეთ ევროპელები ხომ იწვიეს, არც ოკეანისგაღმელები დაივიწყეს — ამერიკელ და კანადელ მოჭიდავეებსაც შეეხმიანნენ და არც მათ გააწბილეს მოპატიჟენი. საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ექვსი სპორტსმენით გაემგზავრა კრასნოიარსკს: ელდარ კურტანიძე (97 კგ), ემზარ ბედინეიშვილი (69), ოთარ თუშიშვილი, გოჩა კირკიტაძე (54), დავით პოლოსიანი და გოჩა ხარებავა (63). როგორც ვხედავთ, რვა წონითი კატეგორიიდან ჩვენებურებმა მხოლოდ სამში იასპარეზეს, რაც ერთი მხრივ, უსახსრობის ბრალია, მეორეც — ფილას ახალი წესებით ორი წონითი კატეგორია გაუქმდა, დანარჩენები ახლებურად გაიმიჯნა და ამან ბევრ მოჭიდავეს შეუშალა ხელი საკრასნოიარსკოდ ჩვეულ ფორმაში ყოფილიყო.

ელდარ კურტანიძემ, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენმა და ოლიმპიადის პრიზიორმა არ გააწბილა ქომაგები და ოქროს მედალი მოიპოვა. ელდარმა ამ ტურნირისთვის 7 კილო მოიმატა. ამ წონაში ყველა კურტანიძისა და სერგეი კოვალევსკის ფინალს ელოდა. კოვალევსკი მეტად ტიტულოვანი ფალავანია და რუსეთის ნაკრების მწვრთნელებს ჩემპიონად ესახებოდათ, მაგრამ კოვალევსკი ფინალსაც ვერ ეღირსა, ადრე გადაეყარა კურტანიძეს და ელდარმაც დამაჯერებლად დაამარცხა. რუსს ისევ რუსი მოჰყვა — ფინალში კურტანიძემ რუსთა ნაკრების დებიუტანტს ვასილიევს სძლია.

დავით პოლოსიანს ორი წელია, ხეირიანად არ ევარჯიშა, თუმცა მანამდე, ვიდრე ტრავმები ხელს შეუშლიდა, ჭაბუკთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიც მოიგო და მრავალი საერთაშორისო ტურნირიც. ამ პერსპექტიული და უღალატო ფალავნის ჭიდაობამ მართლაც მოხიბლა კრასნოიარსკში თავმოყრილი ჭიდაობის ქომაგები. ყველა ორთაბრძოლა მრავალფეროვანი ფანდების მოშველიებითა და აქტიურობით მოიგო, 63 კილოგრამში რუსეთის ნაკრების № 1 მოჭიდავედ შერაცხული ტიტულოვანი ომახანოვიც დასცა და ფინალში ჩვენს ყოფილ თანამემამულეს, ამჟამად კანადის ნაკრების წევრს, ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს გივი სისაურს შეხვდა. დაძაბულ, უშელავათო ორთაბრძოლაში მინიმალური უპირატესობით პოლოსიანმა გაიმარჯვა.

ელდარ კურტანიძისა და დავით პოლოსიანის ორ ოქროს მედალს დასჯერდნენ ჩვენებურები. დანარჩენი ოთხი ფალავანი უმედლოდ დაგვიბრუნდა, თუმცა 54 კგ-ში მოასპარეზე ოთარ თუშიშვილი მსაჯებმა დაგვიჩაგრეს, თორემ ისიც მედლით უნდა დაგვბრუნებოდა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ წარმატებული უწოდა კრასნოიარსკში ჩვენი ნაკრების გამოსვლას. მალე ჩვენი მოჭიდავეები პოლონეთში, ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ, მანამდე კი ირანის საერთაშორისო ტურნირია კარს მომდგარი. იარიგინის ტურნირი ირანულთან ერთად საშუალებას მისცემს გუნდის ხელმძღვანელებს საევროპოჩემპიონატო გუნდი დააკომპლექტონ. ასე რომ, კრასნოიარსკში მარტო მედლების საძიებლად არ იყვნენ ბიჭები ჩასულები — ეს ტურნირიც ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადების ეტაპთაგანი იყო.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა გამარჯვებულ მოჭიდავეებს პრიზად 5000-5000 დოლარი უწილადეს, ხოლო ჩემპიონთა მწვრთნელებს — 1000-1000 დოლარი. მხოლოდ ერთი მოჭიდავე, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი, აწ კი უკრაინელი ზაზა ზოზიროვი გამოარჩიეს და პრიზად გაზ-31 არგუნეს.

და ბოლოს. რუსებმა მიზანს მიაღწიეს: ფილამ ნება დართოთ, 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში კრასნოიარსკში გამართონ. მართალია, ფილას პრეზიდენტი, იუგოსლავი ერცეგანი არ ჩავიდა კრასნოიარსკს, მაგრამ ფილას მსაჯთა კომისიის თავმჯდომარემ, შვეიცარიელმა მარტინეტიმ მოიწონა რუსთა გარჯა და შეფს კრასნოიარსკის მასპინძლობის დასტურიც გამოსტყუა.

**ლევან ჯავახიშვილი**

## რვიდან ერთმა გვასახელა

თურქებმა რომ ლაზათიანი ჭიდაობის ფასი იციან, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ანკარაში გამართულ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე. თავად 60 მოჭიდავე გამოიყვანეს, უკრაინელები და ყაზახები 2-2 ნაკრებით იწვიეს, მათ გარდა ესტონეთის, ჩინეთის, იაპონიის, დაღესტანის და სხვა ქვეყნების უძლიერესი ფალავნებიც ჩავიდნენ თურქეთს და საბოლოოდ 12 გუნდი მოგროვდა. საქართველოს ნაკრებიც ეწვია მეზობელ ქვეყანას. როცა სათურქეთო გუნდის დაკომპლექტებაზე მიდგა ჯერი, ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ბევრი არ იფიქრა და ანკარაში ის მოჭიდავეები წაიყვანა, ვინც ორიოდე კვირის წინ საქართველოს ჩემპიონატი მოიგო: ვაგა ომანიძე (54 კგ), ალექსანდრე ბოლქვაძე (58), აკაკი ჩაჩუა (63), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ხვიჩა ბიჩინაშვილი (76), ემზარ მახარაძე (85), ბაკურ გოგიტიძე (97) და ხვიჩა ქორიძე (მძიმე). შინაურ ჩემპიონატში გამარჯვებულთაგან მხოლოდ თბილისელმა ხვიჩა ბიჩინაშვილმა შეძლო მე-3 ადგილის დაკავება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მის გარდა კიდევ ოთხმა ფალავანმა მიატანა ფინალში გასასვლელ ეტაპს და აქ დამარცხდნენ — ბოლქვაძემ გამოუცდელობით დაუთმო ჩინელ ფალავანს, ჯინჭველაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონ უკრაინელ ბოშას, რუსტემ ჰაჯის ვერ აჯობა, ხოლო აკაკი ჩაჩუამ — თურქს, ასევე ტიტულოვან მოჭიდავეს. ბაკურ გოგიტიძის მარცხი კი მსაჯთა არაობიექტურობამ გადაწყვიტა. მართალია, ფინალთან მხოლოდ მიახლოება დიდი ვერაფერი ვაჟკაცობაა, მაგრამ სწორედ ბიჩინაშვილის ბრინჯაოს მედალმა და ამ ოთხეულის ფინალთან სიახლოვემ ჩვენს ნაკრებს გუნდური III ადგილი მოუტანა. პირველობა მასპინძლებს ერგოთ, მეორე ადგილი — თურქთა დარად მრავალრიცხოვან უკრაინელებს.



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

## ლემიე — 600!

3 თებერვალი. ოტავა — ვანკუვერი [illegible], მონრეალი — ფლორიდა 2:2, ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 2:3, სან ხოსე — ჩიკაგო 2:4.

4 თებერვალი. ბოსტონი — ოტავა 3:4, პიტსბურგი — ვანკუვერი 6:4, აილენდერზი — ანაჰაიმი 4:3, ფილადელფია — ბუფალო 1:1, დეტროიტი — სენტ ლუისი 1:1, ფინიქსი — ტამპა 0:2.

პიტსბურგში გამართული შეხვედრა უდაოდ ღირსახსოვარი იყო — მარიო ლემიემ, როგორც იქნა, შეაგდო თავისი მე-600 შაიბა და შეუერთდა ხუთ მოთამაშეს, რომლებიც 600-ზე მეტ გოლს და გადაცემას ითვლიან. ახლა მარიოს ანგარიშზე 1459 (600+859) ქულაა და იგი მეშვიდე ადგილზეა ლიგის ისტორიაში. გახარებულმა იუბილარმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „მე სწორედ დღეს ვაპირებდი ამას — სულ სხვაა, ფეხზე დამდგარი ხალხი რომ გიკრავს ტაშს. ეს განსაკუთრებული რამეა." საიუბილეო გოლის გატანა ლემიემ მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხა, როცა სტუმრებმა მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს და თამაშის გადარჩენა სცადეს. მანამდე სუპერსნაიპერმა ბევრი ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან. სამაგიეროდ, მისმა პარტნიორებმა — იაგრმა (1+2, 43) და ფრენსისმა (1+1, 20) შეაგდეს გადამწყვეტი შაიბები. ვანკუვერმა, რომლის შემადგენლობაშიც დიდი ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა კაპიტანი ლინდენი, სამჯერ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. დანარჩენის — ლემიეს გოლის შესახებ, უკვე იცით.

ოტავასი არ იყოს, ორჯერ ითამაშა ვანკუვერმა. ორშაბათს ეს ორი ერთმანეთს დაუპირისპირდა. ვანკუვერს ლიდერების — როდლისა (1+2) და მოგილნის დუეტის კარგმა თამაშმაც ვერ უშველა, რადგან „სენატორები" ბოლო ხანს ევროპულ კომბინაციურ ჰოკეის თამაშობენ და ხშირად აღწევენ საწადელს. ეს არც არის გასაკვირი — ძირითად შემადგენლობაში ხომ ექვსი ევროპელი თამაშობს. ვანკუვერთან იაშინმა (1+2, 24) და დეიგლმა (21) გამოიჩინეს თავი, თავის დროზე ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეულმა დეიგლმა უკვე დაიწყო იმედების გამართლება.

ოტავამ ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ბოსტონში და პირველად სეზონში (თუ არ ჩავთვლით სტარტს) მიუახლოვდა იმ გუნდებს, რომლებიც სტენლის თასზე მოსახვედრად იბრძვიან. ბოსტონელ „დათვებთან" ოტავას უმრავლესობაში თამაშმა გადაწყვიტა ყველაფერი. მათ სამჯერ გაიტანეს რიცხვმრავლობაში, დაკულმაც სწორედ ამ დროს შეაგდო გამარჯვების გოლი.

დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა ფილადელფია — ბუფალოს მატჩის 28-ე წუთზე. მანამდე ბუფალომ ანგარიში გახსნა და გაცეცხლებულმა „მფრინავებმა" მუშტები მოიშველიეს. სულ ოთხი კაცი გააძევეს, სტუმრებმა კი, რომლებმაც მანამდე კონფერენციების კიდევ ორი ლიდერი დაჯაბნეს, ლამის ფილადელფიასაც აჯობეს. მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე იხსნა მასპინძლები ვეტერანმა ოტომ.

ძველი მეტოქეები დეტროიტი და სენტ ლუისი სამი დღის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბული ბრძოლა ფრედ დასრულდა. ეს ფრე სტუმრებს ახალბედა კემპბელმა (18) მოუტანა. ყოფილი პარტნიორების — შენაჰანის და ჰალის პრინციპული დუელი ამჯერად უშედეგოდ დამთავრდა.

სან ხოსე — ჩიკაგოს შეხვედრა იმით იყო საინტერესო, რომ წინა კვირას ამ კლუბებმა „ჩეინჯი" გააკეთეს. ჩიკაგოელი მეკარე ბელფური, რომლის ხელფასიც (3,3 მილიონი დოლარი) მხოლოდ რუას (4,5 მლნ) და ჰაშეკის (4,2 მლნ) ანაზღაურებაზე ნაკლებია, სამ კალიფორნიელზე გაცვალეს. როგორც საქმემ აჩვენა, ეს გაცვლა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ორივე გუნდისთვის. შვედმა დალენმა ზედიზედ ორი გამარჯვება მოუტანა ახალ პარტნიორებს, ბელფურმა კი საგრძნობლად გააძლიერა „ზვიგენების" დაცვა. მაგრამ ამჯერად ბელფური საპატიო მიზეზების გამო ვერ გამოვიდა ყინულზე და თანაკლუბელებმაც შეარცხვინეს, სამაგიეროდ, დალენმა (11) მორიგი შაიბა შეაგდო.

და ბოლოს, ისევ მიღწევები: ვანკუვერელმა მოგილნიმ, პირველმა რუსებს შორის, გადალახა 600 ქულიანი ზღვარი, დეტროიტელი აიზერმანი 779 პასით ლიგის საუკეთესო ოცეულში შევიდა, ხოლო ბოსტონელი ბურკი 1344 ქულით მშობლიური კლუბის მეორე ბომბარდირი გახდა (პირველი სტენ მიკიტაა — 1369 ქულა). უნდა ითქვას, რომ ბურკი თავისი კარიერის განმავლობაში მხოლოდ ერთი გუნდის ღირსებას იცავს, ასეთი ჰოკეისტები კი თითზე ჩამოსათვლელნი არიან.

**სამველ ლარიბიანი**

## მთის თხილამურები

SESTRIERES '97 — CAMPIONATI MONDIALI DI SCI ALPINO FIS — F 1/5

### მსოფლიოს 25-ე პირველობა

# ჰანიბალის ნაკვალევზე

მსოფლიო ჩემპიონატის ბინა — იტალიის დასავლეთ საზღვართან მდებარე ალპური კურორტი სესტრიერე ზღვის დონიდან 2 050 მეტრზე, ზეგანზეა გაშენებული. დაბის სახელი მოდის ლათინური „პეტრა სისტრარიადან", რაც მეექვსე ქვასა ნიშნავს. რომის იმპერიის ხანაში დღევანდელი სესტრიერის ადგილას მდგარა მორიგი — მეექვსე ნიშანსვეტი, უახლოესი დასახლებული პუნქტიდან გავლილი მანძილის სათვლელად რომ გამოიყენებოდა.

სესტრიერთან მრავალი საგულისხმო ფაქტია დაკავშირებული. იქაურთა მტკიცებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში კართაგენელი სარდალი ჰანიბალი ალპებზე სწორედ მათი სოფლის მახლობლად გადასულა, რათა მერე რომისთვის შეეტია. მომხდურს მრავლად ყოლია საომარი სპილოები. ამის გამოა, რომ მოთხილამურეთა ჩემპიონატის თილისმა „ანიფანტად" მონათლული და თხილამურებზე შემდგარი ჩაკურატებული სპილუკაა.

„სესტრიერის" ორი დაწერილობა და გამოთქმაა გავრცელებული. ერთი, ოდინდელი, ადგილობრივი მოსახლეობის მოფრანგული კილოკავისეულია. მეორე 1935 წელს დაუმტკიცებია ბენიტო მუსოლინის ფაშისტურ მთავრობას, რომელსაც გეოგრაფიული სახელების გაიტალიურების კამპანია წამოუწყია.

თავად კურორტის დაარსებაც დუჩეს ხანას უკავშირდება. ზეგანი „ფიატის" თავკაც ჯოვანი ანიელის მანქანის ახალი მოდელების გამოსაცდელად შეეგულებინა. მერე მანვე იქ სამთო კურორტი გააშენებინა. დამფუძნებლის პატივსაცემად დაბის მთავარ მოედანს დღეს „პიაცა ანიელი" ეწოდება.

სესტრიერე (იგივე სესტრიერი), მართალია, პრესტიჟით ვერ მივა იტალიურსავე კორტინასთან, მაგრამ ზეპური საზოგადოების თავშეყრის ადგილი მაინც კარგა ხანია. 60-იან წლებში რუს კინო-პროდიუსერ სერგეი ბონდარჩუკს იქ გადაუღია „ომი და მშვიდობის" სცენები. ორი გამორჩეული მრავალდღიანი ველო-ტურის — საფრანგეთის „ტურისა" და იტალიის „ჯიროს" მარშრუტებსაც ბევრჯერ გაუვლია დაბაში. მას კარგი გოლფ-კლუბიც ამშვენებს. გარდა ამისა, ყოველ შემოდგომაზე იქვე იმართება მძლეოსანთა გრან-პრიც. ვინც მასზე მსოფლიო რეკორდს დაამყარებს, ალისფერ „ფერარის" ჩუქნიან.

წუხელ მედლებს ქალი სლალომისტები გაითამაშებდნენ. მეორე ცდა შუა ევროპული დროით 20 საათზე (ჩვენებურად შუაღამით) დაიწყებოდა და პროჟექტორების შუქზე გაიმართებოდა. ამას ამ სპორტის იმიჯის გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონია.



სკაარდალი მარჯვედ ხტებოდა. მერე მედალიც გალოკა

როიტერი სესტრიერედან

უთუოდ ამავე მიზანს ემსახურება ხვალისთვის დანიშნული ბებრული რბოლა — ცოცხალ ლეგენდათა გიგანტური სლალომიც. მასში ჩაებმებიან ფრანც კლამერი, ინგემარ სტენმარკი, კარლ შრანცი, ლეონჰარდ შტოკი, ტონი ზაილერი, გუსტავო თონი, პირმინ ცურბრიგენი, ჰანი ვენცელი, მარიელ გუაჩელი, ფრენი შნაიდერი. მათ ერთად 66 ტიტული და 20 ოლიმპიური ოქროს მედალი მოუხვეჭიათ და მსოფლიო თასის 410 ეტაპიც მოუგიათ.

თითოეულ ბებერს დაუდგენენ ინდივიდუალურ ფორას. გამოთვლისას გაითვალისწინებენ ასაკსა და იმას, თუ რამდენი წლის წინ შეეშვა ვარსკვლავი სპორტს. გამარჯვებული ახალთახალი ავტოთი დაჯილდოვდება. რაც შეეხება ჯელ პრიზიორებს, ფული არც მათ ერგებათ — საერთაშორისო ფედერაციის აზრით მედლები და სახელი კმარებულა!

3. II. ვაჟთა სუპერ-გიგანტი: **1. ატლე სკაარდალი (ნორვეგია); 2. ლასე ხიუსი (ნორვ) ჩამორჩა 0,21 წამით; 3. გიუნთერ მადერი (ავსტრია) 0,33; 4. ჰანს კნაუსი (ავსტ) 0,39; 5. იოზეფ შტრობლი (ავსტ) 0,51; 6. ლუკა კატანეო (იტალია) 0,61; 7. კრისტიან გედინა (იტ) 0,64; 8. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვ) 0,70; 9. პეტერ რუნგალდიერი (იტ) 0,73; 10. კრისტიან მაიერი (ავსტ) 1,09; 11. შტეფან კრაუსი (გერმანია) 1,12; 12. ლუკ ალფონი (საფრანგეთი) 1,16;** –

ნორვეგიელი ჩემპიონი 17 თებერვალს 31 წლისა შესრულდება. ცხოვრობს ზალცბურგში (ავსტრია). მსოფლიო თასზე 1984 წლიდან ასპარეზობს. ეს ჩემპიონატი მის კარიერაში მეშვიდეა. პირველი მედალი — ვერცხლისა, დაშვებაში, 1993 წელსლა, მორიოკაში (იაპონია) მოიპოვა. მსოფლიო თასზე მოგებული აქვს 6 დაშვება და ერთიც სუპერ-გიგანტი. მიმდინარე სეზონში პირველად გაიმარჯვა, თუმცა სუპერ-გიგანტის შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონია. რაკი წოდება წელსაც მოიპოვა, მსოფლიო პირველობების 60-წლიან ისტორიაში შეიქნა ოდენ მეხუთე, ვისაც ამა თუ იმ სახეობაში ტიტული შეუნარჩუნებია. წინა ჯერზე ამგვარი რამ 1989-91 წლებში მოუხერხებია ავსტრიელ რუდოლფ ნირლიხს, მეორე ტრიუმფის წელსვე ავტო-კატასტროფაში რომ დაღუპულა.

ნორვეგიელები სუპერ-გიგანტში ტრადიციულად ძლავრობენ. ბოლო ხუთ მსოფლიო პირველობასა და ოლიმპიადაზე გათამაშებული 15 მედლიდან 8 მათი კერძი გამხდარა. ეს არ ეპიტნავათ დაშვების კარუზოებს — გედინასა და ალფონს. ორივემ დაიჩივლა, მასპინძლებმა ისე გაართულეს და შეანელეს ტრასა, რომ სუპერ-გიგანტის ნაცვლად ფაქტობრივად გიგანტური სლალომი მოგვიწყესო. ეს კიდევ რაა: თურმე არც დაშვების ტრასა მოწონთ და მასზეც ამბობენ, ნაღდად სუპერ-გიგანტისააო.

**ქართველთაგან სასწაულს არ ველოდით. ზურაბ ჯიჯიშვილი 10,09 წამით ჩამორჩა სკაარდალს, 54-ე ადგილი დაიკავა და აჯობა სამ ალჟირელს, ორ-ორ ბოსნიელსა და ბელგიელს, თითო არგენტინელს, რუმინელს, ბრაზილიელს, მექსიკელს, უზბეკს. ჩვენებურივე დავით ნასყიდაშვილი სტარტზე არ გასულა.**

## კრივი

დიდ პრომოუტერ (ქართულად „წარმომჩინებელ") დონ კინგს რა შეეშლება — ვბა-ის მძიმეწონოსანი ჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდისა და ექს-ჩემპიონი მაიკ ტაისონის რე-მატჩამდე (ხელმეორედ შერკინებამდე) ზუსტად სამი თვე რომ დარჩა, პრეზენტაცია (წარდგენა) გამართა ნიუ-იორკის „ექვითებლ ბილდინგში". თავად ჩხუბი 3 მაისს უნდა გაიმართოს პირველი შებმისავე ადგილას — აშშ-ის სამორინო (საყომარბაზო) დედაქალაქ ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელში".



დონ კინგი ტაისონისა და ჰოლიფილდის სამაისო შერკინებას შექსპირის „მაკბეთის" ყაიდაზე ნათლავს, ესაო და წმინდა წყლის "The Sound and the Fury"-აო!

ოლ სპორტი ნიუ-იორკიდან

ბილეთებიც ორშაბათიდან იყიდება. ქანდარისა 200 დოლარი ღირს, რინგისპირა — 1 500. 9 ნოემბერსაც ასე ყოფილა. 16 103 ბილეთი რომ გაიყიდა, შემოსავალმა 14 150 700 დოლარი შეადგინა, რაც **ნოემბერში ტაისონს 30 მილიონი ჩაუთვალეს, ჰოლიფილდს — 11 მილიონი. ტაისონის სამაისო არჩივი მინიმუმ 20 მილიონი იქნება, ჰოლიფილდისა — 35 მილიონი. ეს არა მარტო კრივის, არამედ რაგინდარა სპორტის მსოფლიო რეკორდია.**

# რჩება სამი თვე

კრივის ისტორიაში არნახული თანხა იყო. სანახაობაც ამ ფულის საკადრისი გამოვიდა: მაჩანჩალად (ანდერდოგად) შერაცხულმა მარლმორწმუნე ქრისტიანმა ჰოლიფილდმა, თავის დროზე გულის მანკის გამო კრივობა რომ აუკრძალეს, სასწაული მოახდინა — მე-11 რაუნდში დასცა ნაციხარი და ალაჰის რჯულზე მიქცეული ტაისონი და მუჰამედ ალის მსგავსად სამგზის მძიმეწონოსანი ჩემპიონი შეიქნა.



ტაისონი აცხადებს, რომ ამჯერად ძლევს ჰოლიფილდს. მას დევიზად ჰქონია, ან გაანადგურე მეტოქე, ან თავად განადგურდიო. ჰოლიფილდი „რკინის მაიკს" არ უფრთხის და ამბობს, კი, ბატონო, მეტოქე მზად უკეთ იქნება, მაგრამ მეც მეტად გავძლიერდები და მაშინ მნახეთო. ისე კი, ორივენი ერთურთს დიდად ემადლიერებიან იმის გამო, რომ ბრძოლას არ გარიდებიან და მეტოქისთვის შანსი მიუციათ.

ამასობაში ლას-ვეგასშივე, ოღონდაც „ჰილტონში" ხვალ საღამოს ვბპ-ის ვაკანტური ტიტულისთვის შეიბმება ორი ექს-ჩემპიონი — ბრიტანელი ლენოქს ლუისი და ამერიკელი ოლივერ მაკქოლი. ლუისი (როიტერ-ის კვირისეულ ფოტოზე) ერთხელ მწარედ შეცდა: **1994 წლის 24 სექტემბერს** გაეხსნა ნარკომანად და სპარინგ-პარტნიორად შერაცხულ მაკქოლს და ტიტული ნოკაუტით დაკარგა. მას აქეთ ბრიტანელი დალვინდა. თუ მაკქოლს სცემს, მერე ალბათ ვბო-ის ჩემპიონ ჰენრი აკინვანდეს (ბრიტანეთი) აჩხუბებენ, საგაისოდ კი ჰოლიფილდ —' ტაისონის გამარჯვებულთან მის შერკინებაზე დაიწყებენ მსჯელობა-ვაჭრობას.

## ჩოგბურთი

# კვლავ უაგასოდ

ანდრე აგასიმ დაისვენა, ბევრი ტურნირიც გამოტოვა. დათქმულიც ჰქონდა, ასპარეზს დევისის თასის პირველსავე წრეში — მერვედფინალში დავუბრუნდებიო, მაგრამ სამშაბათს ვარჯიშზე კოჭი იტკინა. ჰოდა, გამოაკლდა აშშ-ის ნაკრებს, ხვალიდან სან-პაულუში რომ ეთამაშება ბრაზილიას, რომლის გიჟმაჟმა გულშემატკივრებაც შარშან შემოდგომაზე კორტიდან გააქციეს ავსტრიელი თომას მუსტერი.

აგასის მალ ვოშინგთონი შეცვლის. სამპრასსა და ჩანგს სანკრებოდ არა ცხელათ. უჭირთ რუსებსაც: ევგენი კაფელნიკოვს ხელის თითი აქვს მოტეხილი, ალექსანდრ ვოლკოვი კი კვირას, შანხაიში (ჩინეთი) ფინალში 2:6, 6:7 რომ დამარცხდა სლოვაკ იან კროშლაკთან, საზარდულის კუნთი გაიწყვიტა. ამის გამოა, რომ რუსები დურბანს სამხრეთ აფრიკასთან სათამაშოდ სამი კაცის ამარა ეწვევიან.

თასის შარშანდელი მფლობელი საფრანგეთია. მას კვლავაც კაპიტნობს იანიკ ნოა. ფრანგები ესტუმრებიან ავსტრალიას. ამის გუნდში ერთხანს საეჭვო იყო წყვილად თამაშის დიდ-ოსტატების — მარკ ვუდფორდისა და თოდ ვუდბრიჯის თამაში.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

**დევისის თასის სატურნირო ბადე.** პირველი წრე (7-9 თებერვალი): ბრაზილია — აშშ, რუმინეთი — ჰოლანდია, ავსტრალია — საფრანგეთი, ჩეხეთი — ინდოეთი; იტალია — მექსიკა, ესპანეთი — გერმანია, სამხრეთი აფრიკა — რუსეთი, შვედეთი — შვეიცარია

**შვედმა სტეფან ედბერგმა თამაშს კი დაანება თავი, მაგრამ რეიტინგ-ლისტიდან ჯერ არ ამოუშლიათ. ჰოდა, ორშაბათს ახალი რომ გამოქვეყნდა, მკვდარმა სულმა მე-16 ადგილიდან გააძევა მოქმედი ბრიტანელი თიმ ჰენმანი, ვისაც წესისამებრ გამოაკლდა ზუსტად ერთი წლის მოპოვებული ქულები.**

## ავტორბოლა

ფორმულა 1 — FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP — რეკორდები

# პროსტი, სენა და Co

წლევანდელი მსოფლიო პირველობა 9 მარტს, მელბურნში, ავსტრალიის გრან-პრის გათამაშებით დაიწყება. იქამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა. ამიტომ, კეთილი ვინებოთ და სტატისტიკის კვალად ნაირ-ნაირი რეკორდებიც მოვიტანოთ.

### მრბოლები.

| | | |
|---|---|---|
| მსოფლიო ჩემპიონობა | 5 | |
| ხუან-მანუელ ფანხიო (არგენტინა) | | |
| ჩატარებული რბოლა | 256 | |
| რიკარდო პატრეზე (იტალია) | | |
| გამარჯვება (გრან-პრი) | 51 | |
| ალენ პროსტი (საფრანგეთი) | | |
| II ადგილი | 35 | პროსტი |
| III ადგილი | 20 | პროსტი |
| და კარლოს რუტმანი (არგენტინა) | | |
| სეზონში მოგებული გრან-პრი | 9 | |
| ნაიჯელ მენსელი (ბრიტანეთი) | | 1992 |
| მიხაელ შუმახერი (გერმანია) | | 1995 |
| სეზონში ზედიზედ მოგებული გრან-პრი. | 5 | |
| მენსელი | | 1992 |
| ჯიმი კლარკი (ბრიტანეთი) | | 1965 |
| ჯეკ ბრებჰემი (ავსტრალია) | | 1960 |
| ამა თუ იმ ქვეყნის გრან-პრი | 6 | |
| აირტონ სენა (ბრაზილია) | | მონტე-კარლო |
| პროსტი | | საფრანგეთი |
| ამა თუ იმ ქვეყნის ზედიზედ მოგებული გრან-პრი | 5 | |
| სენა 1989-93 | | მონტე-კარლო |
| დებიუტანტის გამარჯვება | 4 | |
| ჟაკ ვილნევი (კანადა) | | 1996 |
| პოდიუმი (I, II ან III ადგილი) | 106 | პროსტი |
| რბოლის ლიდერობა | 15 590 კმ | სენა |
| ზედიზედ რბოლის ლიდერობა | 19 | სენა |
| მოგროვილი ქულა | 798,5 | პროსტი |
| სეზონში მოგროვილი ქულა | 108 | მენსელი |
| უსწრაფესი წრე | 41 | პროსტი |
| უსწრაფესი წრე სეზონში | 8 | მენსელი |
| პოული | 65 | სენა |
| პოული სეზონში | 14 | მენსელი |
| უმრწემესი გამარჯვებული | 22 წელი, 104 დღე | |
| ბრუს მაკლარენი (ახალი ზელანდია) | | |
| უხუცესი გამარჯვებული | 53 წელი | |
| ლუიჯი ფაჯოლი (იტალია) | | |
| უმრწემესი მსოფლიო ჩემპიონი | 25 წელი, 9 თვე | |
| ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია) | | |
| უხუცესი მსოფლიო ჩემპიონი | 46 წელი | ფანხიო |
| უმრწემესი მონაწილე | 19 წელი, 182 დღე | |
| მაიკლ ტაკველი (ახალი ზელანდია) | | |
| უხუცესი მონაწილე | 55 წელი, 292 დღე | |
| ლუი შირონი | | |

### გუნდები

| | | |
|---|---|---|
| კონსტრუქტორთა ჩემპიონობა | 8 | |
| ფერარი და უილიამსი | | |
| გამარჯვება (გრან-პრი) | 108 | ფერარი |
| სეზონში მოგებული გრან-პრი | 15 | |
| მაკლარენი | | 1988 |
| სეზონში ზედიზედ მოგებული გრან-პრი. | 11 | |
| მაკლარენი | | 1988 |
| მოგროვილი ქულა | 2 895,5 | ფერარი |
| სეზონში მოგროვილი ქულა | 199 | |
| მაკლარენი | | 1988 |
| სეზონში გახერხებული დუბლი (I და II ადგილი) | 10 | |
| მაკლარენი (სენა და პროსტი) | | 1988 |
| პოული | 118 | ფერარი |
| ზედიზედ მოპოვებული პოული | 24 | |
| უილიამსი | | 1992-93 |
| სეზონში მოპოვებული პოული | 15 | |
| უილიამსი | | 1992, 1993 |
| მაკლარენი | | 1988, 1989 |
| ერთსა და იმავე ტრასაზე მოგებული გრან-პრი | 11 | |
| ფერარი | | მონცაზე |

### სხვადასხვა

| | | |
|---|---|---|
| უდიდესი საშუალო სიჩქარე წრეზე | 258, 984 კმ-სთ | |
| კეკე როსბერგი (ფინეთი) | | უილიამს-ჰონდა |
| ბრიტანეთის დიდი პრიზი | | 1985 |
| უმცირესი სხვაობა I და II ადგილებს შორის | 0,010 წამი | |
| პიტერ გეტინი (ბრიტანეთი) | | ბრმ და |
| რონი პეტერსონი (შვედეთი) | | მარჩ-ფორდი |
| იტალიის დიდი პრიზი | | 1971 |
| ფინიშზე მრბოლთა უმცირესი რაოდენობა | 4 | |
| მონტე-კარლო | | 1966 |
| უმოკლესი რბოლა | 24 წუთი, 34, 893 წამი | |
| ავსტრალიის დიდი პრიზი (ადელაიდა) | | 1991 |
| რბოლა წვიმის გამო შეწყდა | | |
| 14 წრის შემდეგ (52,920 კმ) | | |

შეკრიბა

ალეკო ჟაბუკიანმა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29